ეროვნული ფასეულობანი

ქართული ენა

K 36.056
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფსაზეთის ლიტერატურული ხალოვნების ლეკალა თბილისში

К 36.056
2

ეკატერინა ალექსიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კარლო ჩხეიძე

ეჭიმგო,



ეროვნული, ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

„ნაკადული"
თბილისი. 1968

8C99.962.5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეც-ფონ
[illegible] აღებულია

შალოდია მაძარის ძე აჯინჯალი დაიბადა 1933 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშში.
1961 წელს დაამთავრა გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.
1955 წელს ჟურნალ „ალაშარაში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა.
1960 წელს გამოვიდა შ. აჯინჯალის მოთხრობების პირველი კრებული აფხაზურ ენაზე. 1964 წელს დაიბეჭდა რომან „ნაიარევის" პირველი ნაწილი, 1967 წელს— სატირული მოთხრობების კრებული.
შალოდია აჯინჯალი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრია 1967 წლიდან.

5 9ეე. 166ე -12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძიმო, მითხარით, გადარჩება?

ამ საღამოს ასიდასკენ გამიწია გულმა. მანქანიდან გადმოვედი და მისი სახლის წინ გავჩერდი. აქ ცხოვრობდა ასიდა. ახლაც, როგორც ათი წლის წინათ, გულისძგერით შევყურებდი კიბეს, ასიდა რომ ადიოდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. აქ ყველაფერი ასიდას მაგონებდა. ეს სახლიც, თუმცა არაფრით გამოირჩეოდა სხვა სახლებისაგან, ასიდასავით მშვენიერი მეჩვენებოდა. ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე და ავუყევი კიბეს. ჩემს გულში კვლავ ღვიოდა ის ტკბილი გრძნობა სიყვარულისა, ერთხელ რომ მეწვია სიცოცხლეში. გული ლამის ბუდიდან ამომვარდნოდა.

აი, დავუბრახუნებ № 35 ბინის კარს და გამოვა ასიდა... როგორ შევხვდებით ერთმანეთს. ვაითუ მიცნოს და ცხვირწინ კარი მომიჯახუნოს (ცოტა დრო ხომ არ გასულა მას შემდეგ, ათი წელი გავიდა), ან მითხრას: „აქ მოსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გაბედე, შენ სხვა გზა გაქვს ცხოვრებაში: ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა. მე შენი გზით ვერ ვივლი!" მაშინ ხომ ამაოდ ჩამივლის ოცნება. ჩაიფერფლება ჩემი იმედები. მშობლიურმა კერამ უცხოდ მიმიღო, ძაღლები გამომიდგნენ. ახლა ასიდამაც ზურგი რომ შემაქციოს, მაშინ რაღა ვქნა? გულში იმედის ნაპერწკალი მაინც მიღვიოდა: იქნებ ასიდას კიდეც გაუხარდეს ჩემი დანახვა-მეთქი, იქნებ ბედნიერებისაგან იტიროს კიდეც, ხელი ჩამავლოს და შინ შემიყვანოს... სიცოცხლეს გავწირავდი ამ წუთისათვის. არავის თავს არ მოვუხრი, მაგრამ მის წინაშე მუხლებზე დავემხობოდი და შევფიცავდი: მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ, პატიოსნად ვიცხოვრებ-მეთქი.

მის ბინას რომ მივადექი, კაცის ფერი აღარ მედო. ასე მეგონა, ჩემი გულის ბაგაბუგი ასიდას მეზობლებსაც კი ესმოდათ. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ, კარზე დამებრახუნებინა თუ ვმდგარიყავი ასე ჩვენი შეხვედრის იმედით გაბრუებული. ასიდას ახლა ერთი თხელი კედელი მაშორებდა.

ბოლოს გავბედე და კარის სახელურს ჩავავლე ხელი. ვინ იცის, დღეში რამდენჯერ ჰკიდებს ასიდა ამ სახელურს ხელს. თითქოს ვიგრძენი სითბო მისი ხელისა, უკანასკნელად ათი წლის წინ რომ მეკავა ხელში. ასე ვიდექი ოცნებაში წასული. უცბად ზურგს უკან მამაკაცის ხმა შემომესმა: „ვინა ხართ?" ეს ისე მოულოდნელი იყო, გული გადამიქანდა. შემოვტრიალდი, ჩემ წინ ჭარმაგი მამაკაცი იდგა.

— ვისთანა ხართ? — მკითხა და ამათვალ-ჩამათვალიერა.

— ასიდასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დად, შენ ჩვენი სტუმარი ყოფილხარ, მე კი ... უპატივცემულოდ მოგექეცი. შემოდი, დად, შემოდი, — კაცმა შინ შემიპატიჟა.

— გმადლობთ, მაგრამ არა მცალია. ერთი წუთით შემოვიარე, ასიდას ნახვა მინდოდა. შინ არ არის?

— ასიდა შინ არ არის, შემოდი, შემოდი, მე მისი მამა ვარ.

— მელოდებიან, არ შემიძლია, დამაგვიანდება...

— ასიდასთან რა საქმე გქონდა, ან ვინა ხარ?

— მე მისი ამხანაგი ვარ...

— ალბათ იმასთან სწავლობდი, არა?!

— ჰო, ერთად ვსწავლობდით, — ძლივს მომიტრიალდა ენა.

— ასიდა აქ არ არის. როგორ გითხრა... თავის სახლშია. მალე ორი წელი გახდება, რაც გათხოვდა. აქვე ცხოვრობს. აი, იმ ახალ სახლს ხედავ? მეორე სართულზე, მარჯვნიდან მეოთხე ფანჯარას, სინათლე რომ ანთია. მე მგონი, შინ არიან, თუ გინდა, გამოგყვები.

— არა, არა, ახლა არა! — ლამის ვიყვირე და კიბეზე ღავეშვი. ვაჟკაცს არ შეჰფერის სისუსტე, მაგრამ მაშინ თვალთ დამიბნელდა, მუხლები მეკეცებოდა. ერთი სიტყვით, ძლიერი ღელვისას ნაპირზე გამორიყულ თევზსა ვგავდი. მთელი ჩემი არსება სიცარიელემ და სასოწარკვეთილებამ მოიცვა. გულდამძიმებული მივაბიჯებდი, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცოდი, საით. ძალღონეგამოცლილი პირველსავე სასაუზმეში შევლასლასდი და ერთი სირჩა კონიაკი გადავყლურწე. მთელ სხეულში დამიარა სითბომ. მინდოდა გავქცეულიყავ, აქეთკენ აღარ მომეხედა, მუმლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვქცეულიყავ, რომ არც ფიქრი შემძლებოდა, არც შეგნებ-
ბა მქონოდა. რა მძიმე იყო მარტოობა. ის პატარა სარკმე-
ლი კი, თითქოს დამცინისო, თავისი ციმციმა სინათლით,
უხილავი ძალით თავისკენ მიზიდავდა. ამგვარად, ჩემდა
უნებურად, ასიდას სახლთან აღმოვჩნდი.

სახლის წინ ბორცვი იყო. იმ ბორცვზე რომ ასულიყო
კაცი, მეორე სართულის ფანჯრებს გაუსწორდებოდა. ვი-
სარგებლე სიბნელითა და სანუკვარ ფანჯარასთან მივიპა-
რე. ახლა სულ ახლოს ვიყავ ასიდასთან. ბორცვზე ჩამო-
ვჯექ, ოთახში არავინ იყო. შუქფარი ლაჟვარდისფერ შუქს
აფრქვევდა გარშემო. შუა ოთახში მრგვალი მაგიდა იდგა.
მაგიდაზე გადაშლილი წიგნი იდო. მარცხნივ, კედელთან,
ორი ლამაზი საწოლი იდგა. გული შემეკუმშა, რომ წარ-
მოვიდგინე, ასიდასა და მის ქმარს აქ ეძინათ. შევნატროდი
იმ უცხო კაცის ბედს. სკამის ზურგზე საგულდაგულოდ გა-
უთოებული შარვალი იყო გადაფენილი. უცბად ოთახში
წითელ აბრეშუმისხალათიანი ქალი შემოვიდა. მე კიდევ
ვეჭვობდი, ის იყო თუ არა. მაგრამ როცა ქალმა მაგიდაზე
თეფშები დააწყო და თავი ასწია, ძარღვებში სისხლი გამე-
ყინა. ვერ დამევიწყებინა ეს შუქმომფინარე თვალები. ცო-
ტა გამაღლებულიყო. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ!
დაქალებულიყო. წინანდელზე ლამაზი მეჩვენა. იგი წამ-
დაუწუმ გადიოდა (ეტყობოდა, სამზარეულოში) და როცა
შემობრუნდებოდა, ოთახში სინათლე მატულობდა, ყოველ
შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. ბოლოს, სუფრა რომ გა-
შალა, ტახტზე ჩამოჯდა, თითქოს მეუბნებოდა: „ახლა მი-
ყურე, რამდენიც გინდა.“

ვტკბებოდი მისი ცქერით. ცისარტყელასავით გადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოლტილი წარბები... თმა, ოდესღაც მე რომ ვეალერსებოდი, ოქროდ ელვრებოდა. ფერგამკრთალი ლოყები საოცრად მატებდა სილამაზეს. ასე ვიჯექი ბორცვზე ოდესღაც ჩემთვის მახლობელი ქალის სილამაზით მოხიბლული და აღარაფერი მახსოვდა ამქვეყნად. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი შემოვიდა. სახე სიხარულისაგან უბრწყინავდა (განა არ ჰქონდა გასახარელი!). კაცი ისე მოეხვია ასიდას, გეგონებოდა კარგა ხანია არ უნახავსო. ქალიც მიეალერსა. კაცმა რაღაც შეხვეული მოიტანა. ასიდამ გაშალა და სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა. მაგრამ რა იყო იმ შეკრულაში, ვერ დავინახე. მივხვდი, ის კაცი ასიდას ქმარი იყო. კმაყოფილი დადიოდა ოთახში, ხელებს იქნევდა, ეტყობა, რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა.

მერე სუფრას მიუსხდნენ. ქმრის მოსვლამდე ასიდას პირში ლუკმა არ ჩაუდვია. ჭიქები ასწიეს, ასიდას ქმარი ყლუპ-ყლუპით სვამდა ღვინოს, ისე კი არა, როგორც ჩვენი მამაკაცები სვამენ ხოლმე. ცოლ-ქმარი ისე ეალერსებოდა ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთი ამ საღამოს გაიცვნესო. ნავახშმევს კარგა ხანს ისხდნენ სუფრასთან, რაღაცაზე მშვიდად საუბრობდნენ, მერე წამოდგნენ. ერთად შეუდგნენ სუფრის ალაგებას. ასიდა თეფშებს რეცხავდა, ქმარი კი ამშრალებდა. ჭურჭლის ალაგებას რომ მორჩნენ, ასიდას ქმარმა პიჯაკი გაიხადა, ტახტზე წამოწვა, ასიდაც მალე მიუჯდა გვერდით, მუხლებზე დაიდო მისი თავი. ერთ ხანს ქმარი ასიდას წიგნს უკითხავდა. ასიდა გულისყურით უსმენდა. მერე კაცმა წიგნი გადასდო და რაღაცაზე დაუწყო საუბარი ცოლს. არ ვიცი, რას უყვებოდა, მაგრამ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეტყობოდა, რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა. ასიდას თავი უკან გადაეწია და კისკისებდა.

„რა ბედნიერი ვიქნებოდი, იმ კაცის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი. ნეტავ, მეც ასე გავამხიარულებდი ასიდას? ეტყობა, იგი განათლებული კაცია და ბევრი რამ უნახავს ცხოვრებაში... აჰ, მე იმასთან როგორ მივალ!“ — ალხასმა ნაღვლიანად გაიღიმა. იმ კაცს ჰალსტუხი ეკეთა, სუფთად გაპარსულ სახეზე არც ნაჭრილობევი აჩნდა.

მერე კაცმა აიღო ასიდას ხელი და ლოყაზე მიიდო. ამის ატანა ვეღარ შევძელი. გადავწყვიტე, გავცლოდი იქაურობას, რომ არ დამენახა, ასიდა და იმისი ქმარი როგორ გულით მხიარულობდნენ და იცინოდნენ. მაგრამ უცბად გონება გამიბნელდა, გიჟური სურვილი დამეუფლა, შევვარდნილიყავი ფანჯარაში და საკუთარი ხელებით წამეხრჩო ის კაცი, ვინც წამართვა ყველაზე ძვირფასი ამქვეყნად. მოულოდნელად ბორცვი ჩამოინგრა და მეც თან ჩამიყოლა. თავი ქვაზე დავკარ. აი, მაშინ დამიმშვენდა სახე ასე. მას შემდეგ იმ კუთხეში აღარ გამოვჩენილვარ. თუ ასიდა შემთხვევით ქუჩაში შემხვდებოდა, სადმე ჭიშკარში შევვარდებოდი. არ შემეძლო იმისი დანახვა. ახლაც ყურებში მიდგას ის სიცილი...

ცხოვრებაში არაფერმა გამიმართლა. ყველგან უცხოდ ვგრძნობდი თავს. ყველას თავისი გზა ჰქონდა, მე არავის ვეპიტნავებოდი. მაგრამ აბა, ვისი ბრალი იყო? ისეთ ცხოვრებას ვეწეოდი, სწორედ ასე უნდა მომქცეოდნენ.

მეორე დღე იყო, გუნებაწამხდარი დავეხეტებოდი ქალაქში. ქუჩებში და მოედნებზე ხალხი ბუზებივით ირეოდა, მაგრამ მე ყურადღებას არავინ მაქცევდა, არავინ მესალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მებოდა, უცხო ვიყავი მათთვის. მეც არავის ვიცნობდი. საღამოს ვიღაც დედაბერმა მკითხა, რომელი საათია. მხოლოდ იმას გამოველაპარაკე, თუ ამას გამოლაპარაკება შეიძლება ეწოდოს. მერე სასტუმროში მივედი, მაგრამ თვალი არ მომიხუჭავს, სულ იმაზე ვფიქრობდი, ამის შემდეგ რაღა ვქნა-მეთქი.

ციხიდან რომ გამოვდიოდი, ჩემს თავს შევფიცე, დამევიწყებინა სამარცხვინო წარსული, პატიოსანი შრომით მეშოვა ლუკმა, აღარ მშინებოდა საკუთარი საქციელისა. მტკიცედ გადავწყვიტე, ეს ფიცი არ გამეტეხა. ფიცი უბრალო სიტყვები როდია. თუ ვაჟკაცმა თავის თავს შეჰფიცა, უნდა შეასრულოს კიდეც.

მეორე დღეს მაღაროში წავედი, რომ რაიმე სამუშაო მეშოვა. ახალი ცვლის დაწყების დრო იყო და მაღაროს უფროსის მისაღებში ბევრი ხალხი ირეოდა, დერმატინგადაკრული კარი წამდაუწუმ იღებოდა: კაბინეტში შედიოდა და გამოდიოდა საქმიანი ხალხი. ხანდახან შეჩერდებოდნენ მდივნის მაგიდასთან და რაღაცაზე დაობდნენ. ეზოში მაღაროელთა გუგუნი იდგა. ბარდნიდა. დაველოდე, სანამ მისაღები დაცარიელდებოდა. მერე ფრთხილად შევაღე კაბინეტის კარი. მაღაროს უფროსი დიდ, მასიურ მაგიდას უჯდა და ყურადღებით ათვალიერებდა რაღაც ნახაზებს. მის მარჯვნივ ნაირ-ნაირი ტელეფონების მთელი ბატარეა იყო განლაგებული. უფროსმა შემნიშნა, თავი ასწია და მითხრა:

— დაბრძანდით, გისმენთ!

ასე, ჩემი ხნის კაცი იქნებოდა, საკმაოდ სასიამოვნო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეგნობისა. შავგვრემანი, დინჯი. უცბად მომაგონდა, რომ სადღაც მენახა ეს კაცი.

— გისმენთ, — მითხრა და ყურადღებით მომაჩერდა. ვიცანი, ეს ის კაცი იყო, მეორე სართულის ფანჯარაში რომ დავინახე. გული შემეკუმშა. თვალწინ წარმომიდგა ის საშედისწერო ღამე. ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

— ბოდიში, — მითხრა მან. — ალო, გისმენთ მაღაროს უფროსი ხაზარათ აცანბა... დიახ, დიახ, გისმენთ. რაო? — გაიცინა და ჩემკენ გამოიხედა. უხერხულად ვიგრძენი თავი. — ძმისწული? გამომიგზავნეთ... — მივხვდი, ჩემზე არ საუბრობდნენ და დავმშვიდდი. — მივიღებ, უეჭველად მივიღებ. თუ გინდათ, ორი კაცი გამომიგზავნეთ. მაღაროში სამუშაოს რა გამოგვილევს. დღესვე გამომიგზავნეთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

— გისმენთ, — მესამეჯერ მომიტრიალდა მე. ის იყო, ჩემი სათქმელი უნდა მეთქვა, რომ კვლავ აწკრიალდა ტელეფონი.

— მაპატიეთ, — დამნაშავესავით ჩემკენ გამოიხედა და ყურმილი აიღო.

— ჰო, გისმენ, ასიდა, რაო? სიცხემ კიდევ არ დაუკლო? ახლა არ შემიძლია, ჩემო კარგო, მთხოვნელი მყავს. მალე მოვალ.

ის იყო, წამოვდექი, წასვლა დავაპირე, რომ მაღაროს უფროსმა მითხრა:

— თქვენ ალბათ გეჩქარებათ, ამხანაგო! მაპატიეთ, მაგრამ ეს ტელეფონი...

ორი სიტყვით ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული, თან შიშით შევყურებდი ტელეფონის აპარატებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიდი სიამოვნებით. მაღაროში როდესმე გიმუშავიათ?

— ათი წელი ვმუშაობდი.

— რა სამუშაოზე?

— მებიგედ.

— სადა?

— რუსეთში.

— ძალიან კარგი. ახალბედებთან გვიჭირს. ყველაფერი უნდა ასწავლო. თქვენ არ გაგიჭირდებათ. საბუთები მაჩვენეთ!

საბუთები მაგიდაზე დავაწყვე. ხაზარათმა აიღო და ჩააკვირდა. სახე თანდათან ეღუშებოდა. ბოლოს სკამის ზურგს გადააწვა და თქვა:

— იცით, აბჟარბა, ახლა შესაფერისი სამუშაო არა გვაქვს. ცოტა ხნის შემდეგ შემოიარეთ, იქნებ რამე გამოგიძებნოთ.

ეს ჩემთვის სილის გაწვნა იყო, მაგრამ რა უნდა მექნა. წამოვდექი და ვკითხე, როდის შემოვიარო-მეთქი.

— ასე, ათი დღის შემდეგ. მაშინ მეცოდინება.

გალახული ძაღლივით გამოვედი მაღაროს უფროსის კაბინეტიდან.

ბრაზი მახრჩობდა: მასხრად ამიგდო. ვიღაცას ხომ შეჰპირდა, ძმისწულს მოგიწყობო. მარტო ჩემთვის არ ჰქონდა სამუშაო. იმისი სიცილი... ალბათ იმან და ასიდამ დამინახეს, ბორცვიდან რომ დავგორდი. სწორედ ბედის დაცინვა იყო, მაღაროს უფროსი ის კაცი რომ აღმოჩნდა, ვინც ჩემს ერთადერთ საუნჯეს ფლობდა. ო, რა მსხვერპლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გავიღებდი, ოღონდ ეს კაცი არ დამენახა თვალიდან. გავქცეულიყავ და დამეტოვებინა საყვარელი, მშობლიური ადგილები? არა, ამაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. ჩემს თავს ხომ შევფიცე, დავბრუნებულიყავ და სწორედ აქ, აქ დამეწყო ახალი ცხოვრება. ალხას! შენ ხომ ვაჟკაცი ხარ! გულში ჩაიკალ ყველა სხვა გრძნობა და ვაჟკაცის ფიცს ნუ გასტეხ! ათი დღე არც ისე დიდი დროა, მოვითმენ! ამგვარ მწარე ფიქრებში დავყავი საღამომდე. გულისგამაწვრილებლად მიიზლაზნებოდა დღეები. არავინ მყავდა ისეთი, რომ გული გადამეშალა. აღარც ლოდინი შემეძლო. მაღაროსკენ გავეშურე. კარგა ხანს ვიდექი წოლხვრელის შესასვლელთან. ნახშირის მტვრისაგან გაშავებულ სპეცტანსაცმლიანი, მხარზე დურბინდგადაკიდებული მუშები მხიარულად ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს და თავიანთი სამუშაოებისაკენ მიიჩქაროდნენ. პირველად იყო ჩემს სიცოცხლეში, რომ მშურდა კაცისა. თითქოს განზრახ ნელა მიიზლაზნებოდა დღეები. საპყრობილეში კაპიკს კაპიკზე ვაწებებდი. ის შავი დღისათვის შემონახული ფული მითავდებოდა. აღარავის შველის იმედი არა მქონდა. აბა უცნობ კაცს, უმუშევარს, ფულს ვინ ასესხებდა. მაღაროს უფროსის დანიშნულ დრომდე კი ერთი დღეღა რჩებოდა.

საღამოს სასტუმროს მორიგემ თავაზიანად გამომიცხადა: ვალი გაქვთ გადასახდელიო. საჩქაროდ შევკარი ჩემი ბარგი-ბარხანა და ქუჩაში გამოვიპარე. შიმშილს კიდევ მოვითმენდი, მაგრამ უპაპიროსობას ვერა. გვერდით მამაკაცები რომ ჩამივლიდნენ და თამბაქოს სასიამოვნო სუნს მომაფრქვევდნენ, ველარ ვითმენდი. რამდენჯერ ვიფიქრე, მივალ და ვინმეს პაპიროსს ვთხოვ-მეთქი, მაგრამ არც თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამცირება მინდოდა. მოწყალების თხოვნას არ ვიყავი ჩვეული. არა, ამ ერთ ღამესაც მოვითმენდი. მე ხომ ახალ ცხოვრებას ვიწყებდი. წარსულს ვეღარ დავუბრუნდებოდი, მისკენ მიმავალი ხიდი გადავწვი. უცბად ფეხებთან პაპიროსის ნამწვი შევნიშნე, თითქმის მთელი პაპიროსი. ციხეში ამგვარ ნამწვს „მეფურ ლუკმას" ეძახდნენ. მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი და საჩქაროდ ავიღე ნამწვი, მაგრამ მაშინვე გადავაგდე. ხაზარათის კაბინეტი მომაგონდა. დიდ, მარმარილოს საფერფლეში მთელი მთა იდგა მოუწეველი პაპიროსებისა. ეტყობა, ისე, სახალისოდ ეწეოდა. მაღაროს უფროსს აქვს საშუალება, სახალისოდ მოსწიოს პაპიროსი. მომეჩვენა, თითქოს სწორედ იმ ხაზარათის გადაგდებული იყო ეს ნამწვი. წასასვლელი აღარსად მქონდა. ქუჩაში დგომაც ჩემოდნით ხელში უხერხული იყო. დრო რომ მომეკლა, სასტუმროს მახლობლად სკამზე ჩამოვჯექი.

ვარსკვლავებიანი, ცივი ღამე იყო. მეზობელი სახლიდან მადისაღმძვრელი ღომის სუნი მცემდა. სითბოში, სიმყუდროვეში, ოჯახი ვახშამს შეექცეოდა. უცბად ჩემი ბავშვობა წარმომიდგა თვალწინ. მახსოვს, ფართო სამზარეულოში შუა ცეცხლი გუზგუზებდა. კერიასთან, ფართო ტახტზე ბაბუა იჯდა ხოლმე და სურნელოვან სამუნს[1] ჭრიდა. დედა (მაშინ მეგონა, იგი ჩემი ნამდვილი დედა იყო) გრძელ ხის შამფურზე შაშს წვავდა. გამურულ ჩალხანაში ღომი თუხთუხებდა. შუადღე იყო, გარეთ ბარდნიდა. კართან მიყუჟული თვალს არ ვაშორებდი ბებერ რცხილასთან დაგე-

---

[1] თამბაქოს ჯიში.

ბულ კაკანათს. კაკანათთან ცქაფი გულწითელა ტრიალებ-
და. ჩაჰკრავდა ნისკარტს მისატყუებელ მჭადის ნატეხ-
განზე გახტებოდა და მშვიდად შეექცეოდა. მაგრამ აი, უც-
ბად ბუმბულა შაშვი გამოჩნდა. გულწითელამ შაშვი რომ
დაინახა, გაფრინდა. შაშვი კაკანათთან გაჩერდა და, რახან
საეჭვო ვერაფერი შენიშნა, მისატყუებლისაკენ გასწია.
ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მაგრამ ამ დროს ბაბუას
ხველა აუტყდა. შაშვი განზე გახტა. ბაბუამ დამინახა, რომ,
განაწყენებულმა ხელი ჩავიქნიე და პირზე ხელი მიიფარა.
გავიდა რამდენიმე წუთი. შაშვი ისევ მოფრინდა. კარგა
ხანს იდგა და ყოყმანობდა. მერე, ეტყობა, შიმშილმა შიში
სძლია და კაკანათისკენ გაექანა. მე ღონივრად მოვქაჩე
თოკი. გაება ჩიტი მახეში. ჩემს ყვირილზე ბაბუა გამოვიდა
და კაკანათიდან გამოვიყვანეთ შაშვი. ამ დროს ეზოში ჩე-
მოდნიანი კაცი შემოვიდა. მამაჩემი იყო. იგი სოხუმში
სწავლობდა და შინ იშვიათად მოდიოდა ხოლმე. მამამ
ხელში ამიტაცა და მაკოცა — „ყოჩაღ ნამდვილი ვაჟკაცი
ხარ!“ ისევ დავდგი კაკანათი, სანამ სუფრას გაშლიდნენ,
იქნებ ერთი ჩიტის დაჭერა კიდევ მომესწრო.

მოგონებები მოგონებებს მოსდევდა, სულში სითბო
მეღვრებოდა, მაგრამ ტკბილი ფიქრები სასტუმროს მოსამ-
სახურეებმა შემაწყვეტინეს, ხელი მტაცეს და მაღლა ამი-
ყვანეს. რა გაათენებდა ამ ღამეს. ხვალ ჩემი სიკვდილ-სი-
ცოცხლის საკითხი წყდებოდა. ხვალიდან სხვა კაცი უნდა
დავმდგარიყავი. საკუთარი შრომით მეშოვნა პურის, თამ-
ბაქოს ფული... ახალი მეგობრები მეყოლებოდა.

გათენდა თუ არა, მაღაროსაკენ გავეშურე. უფროსი
ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ დიდხანს არ მალოდინა. არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსალმებია, პირდაპირ შევიდა კაბინეტში. მე უკან გავ-ყევი და მაგიდასთან სკამზე ჩამოვჯექი.

თქვენ დამიბარეთ და მოვედი-მეთქი, — მოვახსენე.

— ვხედავ, რომ მოხვედით, — მითხრა ხაზარათმა, — მაგრამ რა გიყოთ, სამწუხაროდ, ადგილი არა გვაქვს. — თმა გადაივარცხნა და მაგიდასთან დაჯდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. — იმედს კი ნუ გადაიწყვეტთ. სხვა საწარმოები ხომ არის. შეიძლება სხვაგან მოეწყოთ.— ეტყობა, შემამჩნია, როგორ გავფითრდი და ამიტომ შეურ-ბილა ტონს.

— მე მხოლოდ მაღაროში მინდა მუშაობა.

— მაშინ ისევ იქ წადი, საიდანაც მოსულხარ,—მითხ-რა გაბრაზებულმა.

— იქ რა მინდა, მე მშობლიურ ქალაქში დავბრუნდი და მხოლოდ აქ უნდა ვიცხოვრო და ვიმუშაო. თქვენი სწავ-ლება მე არა მჭირდება. დაწერეთ ბრძანება და სამუშაოზე მიმიღეთ! თქვენ ხომ დამიბარეთ და მეც მოვედი ათი დღის შემდეგ. აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. მე მუშაობა მინდა, გესმით, მუშაობა! — მოთმინების ძაფი გამიწყდა და სკა-მიდან წამოვვარდი.

— აქედან დამეკარგე! შენ რა გამოგცვლიდა. აქ იმის-თვის მოხვედი, რომ ჩხუბი ამიტეხო? შენ ვინ გენდობა ქურდს. ეგ ნაჭრილობევი შუბლზე შენს კაიკაცობაზე ლა-პარაკობს, — მომახალა პირში.

შუბლზე ნაჭრილობევის მოგონებამ გამაცოფა. ალბათ დამინახა, ბორცვიდან რომ ჩამოვვარდი, და იმ საღამოს ჩემზე იცინოდა-მეთქი. ამ წუთში საშინლად მძულდა ეს.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი. მეზიზღებოდა მისი სახე, თვალები, ხელები, ყველაფერი მეზიზღებოდა.

— დამეკარგე აქედან! — ცვლავ დამიღრიალა.

გონება დავკარგე, აღარ მახსოვს, როგორ ვიშიშვლე დანა და მივვარდი. გონს რომ მოვედი, ვიღაც კაცებს მაგრად ვეჭირე. ხელები სისხლით მქონდა მოსვრილი. ხაზარათი კაბინეტში აღარ იყო, — აი, როგორ მოხდა ყველაფერი, — ალხასმა შვებით ამოისუნთქა.

რაჟდენმა საათს დახედა და უხმოდ გაემართა გასასვლელისაკენ.

●

სასამართლო დაიწყო. ალხასი დაჩაგრული და გაბოროტებული აღარ ჩანდა, მხნედ გამოიყურებოდა, გულში იმედი ჰქონდა, რომ სასამართლო კეთილად დამთავრდებოდა. მოსამართლის ყოველ შეკითხვაზე დამშვიდებით პასუხობდა, დაწვრილებით ჰყვებოდა საქმის შინაარსს, ოაგრამ თუ ვინმე ჰკითხავდა, კაცის მოკვლა რამ გადაგაწყვეტინაო, ალხასი მაშინვე მოიღუშებოდა, თავის თავში ჩაიკეტებოდა.

— ბრალდებული ალხას აბჟარბა ამ საკამზე შემთხვევით არ ზის, — დაიწყო პროკურორმა. — მეექვსეჯერ ასამართლებენ. მის განვლილ გზას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი გამობრძმედილია ქურდობაში, ძარცვაში, მკვლელობაში. აი, მისი ბიოგრაფიის „უმშვენიერესი“ ფურცლები. ადამიანობისა აღარაფერი შერჩენია. სასჯელის ყველა ზომა, რაც აქამდე გამოუტანეს, ამაო აღმოჩნდა, რადგან მას არ სურს პატიოსანი გზით სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბჟარბამ კვლავ ახალი დანაშაული ჩაიდინა: დანით მივარდა სრულიად უდანაშაულო ადამიანს. ხალხს რომ არ შემოესწრო, უეჭველად მოჰკლავდა. რამ გადააწყვეტინა კაცის მოკვლა? ამაზე ბრალდებული არ გვპასუხობს. ან კი რითი უნდა იმართლოს თავი? ჩემის ღრმა რწმენით, ალხას აბჟარბა პათოლოგიური პიროვნებაა. თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად დანაშაულის ჩადენა მიაჩნია. დავუშვათ, მართლა მივიდა მაღაროში სამუშაოზე მოსაწყობად. ისმის კითხვა, რატომ მივარდა უფროსს დანით? ვისაც სამუშაოზე მოწყობა უნდა, იმას მხოლოდ განცხადება მიაქვს.

პატივცემულო მოსამართლენო, თქვენს წინაშე დგას ადამიანი, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთი კეთილი საქმეც არ გაუკეთებია. რამდენ კაცს გაუმწარა სიცოცხლე. ალბათ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც ჯერაც არ მოშუშებიათ ამ კაცის მიერ მიყენებული ჭრილობები. განა შეიძლება ამის შემდეგ ბრალდებულს შევუმსუბუქოთ დანაშაული? ალხას აბჟარბა ხორცმეტია ჩვენი საზოგადოებისა. მე მოვითხოვ, მას სამი წლით პატიმრობა მიესაჯოს.

პროკურორის უკანასკნელმა სიტყვებმა გამოაფხიზლეს ალხასი. იცოდა, ჩადენილი დანაშაულისათვის თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა, მაგრამ ასეთ დასასრულს მაინც არ მოელოდა. გახედა მოსამართლეს, მის თვალებში იქნებ იმედის მომცემი ნაპერწკალი შევნიშნოო. მოსამართლე განზე იყურებოდა, მისი სახის გამომეტყველება კი ვერაფერს სასიკეთოს აღუთქვამდა. იმედი გადაუწყდა, მაგრამ უცბად მოაგონდა, თავის თავს ფიცი რომ მისცა.

ეს ბანაკში მოხდა. ქურდებსა და კაცისმკვლელებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ყველანი უხმოდ ემორჩილებოდნენ. ვაი იმას, ვინც წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდა. ურჩებს მაშინვე ჭკუაზე მოიყვანდა. დიდი ქურდის სახელი გაუვარდა. მისი ხელქვეითნი ყოველნაირად ცდილობდნენ ესიამოვნებინათ თავიანთი კერპის—ხიგასათვის. ის რომ ისვენებდა, არავის შეეძლო, ხმამაღლა ჩხუბი აეტეხა, მაშინვე შეუტევდნენ: „ჩუმად, ალქაჯებო, ვერა ხედავთ, კაცი ისვენებს.“

...ალხასს გარსშემოხვეოდნენ ქურდების მოთავეები: „ცალთვალა“, „ყრუ“ და „მუნჯი“. ეს სახელები მათ ფიზიკური ნაკლის მიხედვით ჰქონდათ შერქმეული.

— ჩემს თავს ფიცი მივეცი, ხელი ავიღო ბნელ საქმეებზე, — ისეთი ტონით დაიწყო ალხასმა, რომ შეკამათებას ვერავინ გაუბედავდა.

— რატომ? — აწრიალდა ცალთვალა.

— ისე, არ მინდა.

— მიზეზი?

— მომბეზრდა... წესიერი, ადამიანური ცხოვრება მომენატრა.

— მაშ გადაგიწყვეტია, გაგვექცე?

— ჰო, დღეიდან, ამ წუთიდან.

— ნუ აჩქარდები, ხიგა! კარგად დაფიქრდი.

— კარგა ხანია მოვიფიქრე.

— გასაგებია. მაშ ქურდობა აღარ გნებავს. შენ ხომ ჩვენი სისხლი გაქვს, ხომ შემოგვფიცე!—მოთავემ ალხასს ცალი თვალი დაუბრიალა.

— ვითომ აღარა მაქვს თქვენი სისხლი.

— რაო? შენ აღარ ხუმრობ, თუ მე დავყრუვდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ დაყრუებულხარ, ჩემს თავს ფიცი მივეცა.

— მაშ მოდი, ზედმეტი სითხე გამოვუშვათ! — დაიღრიალა ცალთვალამ. ყრუ მაშინვე წამოხტა და ალხასს მივარდა. ყრუს სახეს კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა: ცხენის ყბა... ჩამოშვებული ქვედა ტუჩიდან უფერული ღრძილები და მოღრეცილი კბილები მოუჩანდა. კიტრივით წაგრძელებული თავი. ლამის კინკრიხოდან ეშვებოდა პარტყუნა ყურები.

— ჩვენთან კავშირსა სწყვეტ? — ყრუმ ისე დაიგუგუნა, თითქოს ცარიელ ქვევრში ჩასძახაო.

— ჰო!

— დღეიდან არც შენ გვიცნობ ჩვენა და აღარც ჩვენ გიცნობთ. გაიგე?

— ჰო!

— აღარასოდეს აღარ შეგვხვდები?

— დავივიწყებ თქვენს სახელებს.

— რაც უნდა შეგემთხვეს, დაივიწყე ჩვენკენ მომავალი გზა. ჩვენგან შებრალებას ნუღარ მოელი. მორჩა!

— ნურც თქვენ გექნებათ ჩემი დახმარების იმედი. ცოტა იქით გაიწი, ყურებში ნუ მიღრიალებ! — აენთო ალხასი.

— იცოდე, არ ინანო! — ყრუმ უკან დაიხია.

— ჩემს სიტყვას აღარ გადავალ.

— რა საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი?

— იმას, რასაც ყველა წესიერი ადამიანი ჰკიდებს ხელმე.

— წესიერ ცხოვრებას შენ არა ხარ ჩვეული. ისევ მოხვალ ჩვენთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგისი დარდი ნუ გაქვთ. ვთქვი და მორჩა. ერთხელ და სამუდამოდ შეგაქციეთ ზურგი.

— მაშ ჩვენი წმინდა სისხლი დაგვიბრუნე, — ყრუმ უფრო ჩამოუშვა ქვედა ტუჩი და მარქენალ თხასავით გამოიჭიმა.

ალხასმა უხმოდ ამოიღო დანა და ხელი გაიჭრა.

— ახლა კი წადი და იცოდე, დღეიდან ქურდების აჩრდილი თან დაგდევს. — ყრუმ და ალხასმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

— გახსოვდეს, დღეიდან ქურდის ყველა უფლებას ჰკარგავ! — თქვა ბოლოს ცალთვალამ.

მთელ ბანაკს მოედო, ხიგამ უარი თქვა ქურდობაზე, წარსულთან კავშირი გაწყვიტაო. ყველას უკვირდა, ქურდების სამყაროში ასე ცნობილი კაცი როგორ ამბობდა უარს იმაზე, რაც მისი ცხოვრების მოწოდება იყო.

განთავისუფლების წინა დღეს ყრუ ალხასთან მივიდა, თავისი განზრახვა ხომ არ გადაიფიქრაო. ალხასს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დაევიწყებინა წარსული.

●

რა ჰქნას ახლა, როგორ მოიქცეს? ისევ საპყრობილე? მერე როგორ დასცინებენ ქურდები. იქაურ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას ურჩევნია, ტყვია მიიჭედოს შუბლში და დაასრულოს სიცოცხლე.

— საბოლოოდ რას იტყვის ბრალდებული,—მოსამართლის ხმამ შეაწყვეტინა ფიქრები ალხასს.

ალხასი გამოერკვა. შეკრთა. ნელ-ნელა მოეჭიდა მოა-

ჯირსა და წამოდგა. იმედმა, უკანასკნელმა იმედის მბჟუ-
ტავმა ნაპერწკალმა—იქნებ სასამართლო კეთილად და-
თავრდესო, აიძულა ალხასი თვალებში შეეხედა იმ კაცი-
სათვის, რომელზეც ახლა მისი ბედი იყო დამოკიდებული.
მაგრამ მის თვალებში საიმედო ვერაფერი ამოიკითხა. პი-
რიქით, რაჟდენის თვალები თითქოს ეუბნებოდნენ: „გირ-
ჩევნია, მიწა გაგისკდეს და თან ჩაგიტანოს, ვიდრე იდგე
აქა და თვალებში ეჩხირებოდე, ვისაც უფლება აქვს სასტი-
კი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოგიტანოს.“ რა
გულთბილად ელაპარაკა სასამართლოს დაწყებამდე, ყვე-
ლაფერი გულახდილად აღიარეო. სად გაჰქრა ის სიბრა-
ლული? ამდენი უბედურების მნახველს განა უნდა დავი-
წყებოდა, რომ კეთილი მოსამართლეები არ არსებობენ?
ალხასმა ხმის კანკალით, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— გთხოვთ, სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა
მომისაჯოთ. ეს არის ჩემი უკანასკნელი სურვილი.

მერე სახეზე ხელები აიფარა და სკამზე დაეშვა. ამით
მოსამართლეებისათვის გულის მოლბობა კი არ უნდოდა,
მის საქციელში სასოწარკვეთილი ადამიანის ნაღველი იგ-
რძნობოდა.

მოსამართლეებმა ქაღალდები აკრიფეს და სათათბი-
როდ გავიდნენ.

●

დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. სასამართლოს კოლეგიის
წევრები თავმჯდომარის საბოლოო სიტყვას ელოდნენ.
რაჟდენს გულზე ხელები დაეკრიფა და მდუმარედ იდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯარასთან. სახეზე საშინელი ტანჯვა ეხატებოდა. ჭრილ-
კურორის წარმოთქმულმა სიტყვებმა: „ალბათ კიდევ არი-
ან ადამიანები, რომელთაც ჯერაც არ მოშუშებიათ ამ კა-
ცის მიერ მიყენებული ჭრილობები“, საშინლად ააღელვა.
მოაგონდა ათი წლის წინანდელი ამბავი, ის სულიერი და
ფიზიკური ტრამვა, რაც ალხასმა მიაყენა.

...საღამოს რაჟდენი საავადმყოფოში მიიყვანეს. ჭრი-
ლობა საშიში აღმოჩნდა. თანდათან ცუდად ხდებოდა.
წყურვილი ჰკლავდა. ჩახრენწილი, სუსტი ხმით წყალს
ითხოვდა. ექიმები მის საწოლს არ შორდებოდნენ. შუაღა-
მისას გონება დაჰკარგა. სამ დღეს უგრძნობლად იყო, მხო-
ლოდ მეოთხე დღეს მოვიდა გონს. მთელ სხეულში საში-
ნელ სისუსტეს გრძნობდა. ძლივს წამოჯდა საწოლზე. ფან-
ჯრები ღია იყო და პალატაში სუფთა ჰაერი შემოდიოდა.
გული სიხარულით აევსო: ცოცხალია. ღია ფანჯრიდან სიყ-
ვარულით გასცქეროდა ბავშვობიდან ნაცნობ ადგილებს,
თითქოს პირველად ნახა დიდი ხნის განშორების შემდეგ.
მერე ფრთხილად გამოიღო საბნიდან ტყვიასავით დამძიმე-
ბული, თაბაშირში ჩასმული უგრძნობელი ხელი. ერთ ხანს
გულგრილად დასცქეროდა დაბანდულ ხელს. უცბად სახე
დაემანჭა.

— სად არის ჩემი ხელი? — საშინელი კვნესა აღმოხ-
და გულიდან და ძალღონეგამოცლილი საწოლზე დაეცა.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ვაჟკაცი არა ხარ? სასო-
წარკვეთილებას ნუ მიეცემი. განა ჩვენ გვინდოდა? გაიგე,
ჟანგიანი დანა იყო. შეგვეშინდა, განგრენა არ მიგელო. მა-
შინ ხელი მთლად უნდა მოგვეჭრა, — ამშვიდებდა ექიმი.

...ტკივილმა გაუარა, მაგრამ სულიერი ჭრილობა უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი განსაკურნებელი იყო. როგორღა დაენახვოს იმას? რას ეტყვის? დიდი ხანი არ არის, რაც გაიცნო, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისე შეუყვარდა, უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. ორივე ახალ სახლში ცხოვრობდა. რაჟდენი—მეხუთე სართულზე, ის კი—მესამეზე. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს ავტობუსის გაჩერებასთან. უხმოდ ელოდნენ მანქანას. მადინა, ასე ეძახდნენ ქალიშვილს, სკოლაში მუშაობდა. ავტობუსში რომ შევიდოდა, კონდუქტორისაკენ მიიჩქაროდა, მაგრამ რაჟდენი ყოველთვის ასწრებდა. ერთად სხდებოდნენ. მადინა ბილეთის ნომრებს ათვალიერებდა. ორივეს უკვირდა, მუდამ „ბედნიერი" ბილეთი ხვდებოდათ. ასე გრძელდებოდა ერთ ხანს. ისინი ესალმებოდნენ ერთმანეთს. რომ შეხვდებოდნენ, ხელსაც ართმევდნენ. უფრო მეტის სათქმელად რაჟდენს გამბედაობა არ ჰყოფნიდა. ზოგჯერ სადარბაზო შესასვლელთან ხვდებოდნენ და უხმოდ მიდიოდნენ ავტობუსის გაჩერებისაკენ. ხანდახან რაჟდენი დააპირებდა, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ არ გამოუდიოდა. ჩვეულებრივი სიტყვებიც კი, თითქოს განგებ, გამოუფრინდებოდა თავიდან. ვაჟს შეუყვარდა ეს წყნარი, მოკრძალებული ქალიშვილი. თუ წინათ შემთხვევით ხვდებოდნენ, ახლა რაჟდენი დილდილაობით სადარბაზოსთან ელოდებოდა. რამდენჯერ დააპირა, სიყვარულში გამოსტყდომოდა, მაგრამ ყოველთვის სიმორცხვე უშლიდა ხელს. ხვალ ვეტყვიო, — იტყოდა გულში, დადგებოდა ის დღეცა და ხმას ვერ იღებდა.

უკანასკნელად რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მადინა ღვთაებრივი ეჩვენა. „ჩვენი ყოველდღე შეხვედრა კარგის

მომასწავებელია“, — გაიცინა ქალმა. რაჟდენი მეცხრე ცაზე ფრინავდა. ყოველ შემთხვევაში, აღარ ერიდებოდნენ ერთმანეთს. ახლა ლაპარაკ-ლაპარაკით მიდიოდნენ ავტობუსის გაჩერებისაკენ. რაჟდენი ავტობუსის კარებთან შეჩერდა, ვიღაც მოხუცს მიეშველა ავტობუსში ასვლაში. ამჯერად მადინამ დაასწრო ბილეთის აღება. ავტობუსი რომ დაიძრა, მადინა რაჟდენისაკენ გადაიხარა და ჰკითხა: „ზეგ საღამოთი სად იქნებით?“ „ყველგან, საცა თქვენ მოგესურვებათ!“ ქალიშვილს გაეცინა: „ზეგ ოცდაორი წელი მისრულდება, მინდოდა, ჩემთან მოსულიყავით.“ „გმადლობთ, მადინა!“ — სიხარულს ველარ ფარავდა რაჟდენი.

მაგრამ, საუბედუროდ, მათ შეხვედრა არ ეწერათ. იმ ღამეს რაჟდენი საავადმყოფოში უგონოდ ეგდო საწოლზე, მადინას ოთახის ფანჯრებიდან კი მუსიკა, სიმღერა, ახალგაზრდობის მხიარული სიცილი მოისმოდა. რაღა თქმა უნდა, მადინა ვერც კი წარმოიდგენდა, რა უბედურება ეწია რაჟდენს. მხოლოდ ერთადერთი სკამი, რაჟდენის სკამი იდგა მაგიდასთან ცარიელი.

რაჟდენი საავადმყოფოდან გამოეწერა. მარჯვენა ხელი მუდამ ჯიბეში ედო. მოტყდა, გულჩათხრობილი გახდა. უხალისოდ, ცივად პასუხობდა სალამზე ნაცნობებს. ყოველ დილით თავისი ფანჯრიდან გასცქეროდა ავტობუსის გაჩერებას. მადინა რომ გაჰყვებოდა ავტობუსს, მხოლოდ მერე ჩამოდიოდა იგი. გაურბოდა მადინასთან შეხვედრას. თუ შემთხვევით სადმე ქუჩაში შეხვდებოდნენ, თავს დაუქნევდა და აჩქარებით ჩაუვლიდა გვერდით (ეშინოდა, უცბად ხელი არ გამომიწოდოსო). ამგვარად, მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა, რაც დღითი დღე იზრდებოდა. უცხონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახდნენ ერთმანეთისათვის. „ვინ იცის, იქნებ მე და მადინა დავქორწინებულიყავით, რომ ეს ალხასი არ ყოფილიყო... ამან წამართვა ბედნიერების უფლება. მაშ, რიღასთვის შეგიბრალო? ოჰ, პროკურორო, პროკურორო, შენ რომ არ გეხსენებინა მოუშუშებელი ჭრილობა. იქნებ პროკურორმა იცის ყველაფერი? არა, ეს შეუძლებელია. მე არავისთვის მითქვამს, რაც შემემთხვა. ალხასმაც კი ვერ მიცნო".

„სამი წელი მაგისთვის ცოტაა, სამუდამოდ უნდა ჩასვა", — წარმოთქვა სასამართლოს რომელიღაც წევრმა. რაჟდენს ფიქრის ძაფი გაუწყდა.

●

სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ მოსამართლის გამოჩენას. ზოგს გულწრფელად აღელვებდა ალხასის ბედი, ზოგი იმასაც ამბობდა, პროკურორმა მეტად რბილი განაჩენი გამოუტანაო. კამათობდნენ. ყველანი თავისებურად მსჯელობდნენ ბრალდებულის დანაშაულზე.

ბოლოს სახალხო მსაჯულთა თანხლებით შემოვიდა მოსამართლე. ხალხმა შეწყვიტა დავა. სიჩუმეში გაისმა რაჟდენის მშვიდი, ოდნავ ჩახრენწილი ხმა.

— დღეს განვიხილეთ ალხას ხაჯარათის ძე აბჟარბას საქმე და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მან დანაშაული ჩაიდინა: დანით მივარდა მაღაროს უფროსს ხაზარათ პახუალის ძე აცანბას. ხალხმა შემოუსწრო და გადაარჩინა იგი სიკვდილს. ვინც შეგნებულად ჩადის დანაშაულს, შესაფე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისად უნდა მიეგოს კიდეც, ეს ჩვენი საზოგადოების მტკიცე კანონია.

ალხას აბჟარბას რად უნდა დაეღვარა უდანაშაულო ადამიანის სისხლი? ვინ უბიძგა ამ ნაბიჯისაკენ? იქნებ ძველი მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში?—არა. გასაძარცვავად ხომ არ შეჭრილა მაღაროს უფროსის კაბინეტში? — არა. იქნებ ვაჟკაცობის დამტკიცება უნდოდა? რამ მიიყვანა ამ უგუნურ ნაბიჯამდე?

ალხას ხაჯარათის ძე აბჟარბა მრავალჯერ არის ნასამართლევი. ხუთჯერ საპყრობილეში იჯდა. რაც არ უნდა ეცადოთ, კეთილ საქმეს ვერ მოუძებნით. რამ გახადა ასეთი, თუ ბოროტმოქმედად დაიბადა? რაღა თქმა უნდა, არა. მხოლოდ წრეს, რომელშიაც ტრიალებს, შეუძლია ადამიანი გახადოს კარგი ან ცუდი. ალხას აბჟარბამ ბედის უკუღმართობის წყალობით ადრე დაჰკარგა მამა და ბაბუა— მისთვის მახლობელი ადამიანები. შეიცვალა მისი ცხოვრება. აბა ისე ვინ გაზრდილა, რომ ბავშვობა არ გამოევლოს? ბავშვი ყველაფერს გადაიღებს, რასაც უფროსები ასწავლიან. ადამიანებს რომ მოაშოროთ, ლაპარაკსაც ვერ ისწავლის. სიბნელეში დასვით და დაბრმავდება. ადამიანს, მხოლოდ ადამიანს შეუძლია გაზარდოს ბავშვი კეთილი ან ბოროტი, საზოგადოებაში გამოსული ან კარჩაკეტილი.

იმათ, ვინც მამამისის დაპატიმრებამდე სულს არ იშურებდა ბავშვისათვის, ზურგი შეაქციეს, ფეხქვეშ გათელეს მისი ბავშვური სულის ნდობა. ალხასს ალბათ ჰყავდა ნათესავები, მაგრამ იმის შიშით, რომ „ხალხის მტრის“ შვილი იყო, ხელი აიღეს მის აღზრდაზე. ბავშვს ენატრებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამის ალერსი და ზრუნვა. ქალი, ვინც წმიდანი ეგონა, ბოროტი, ავი დედინაცვალი გამოდგა. ყველანი კარებს უკეტავდნენ ცხვირწინ. ბავშვებს უკრძალავდნენ ალხასთან თამაშს. ბავშვი ქუჩაში დარჩა. უწყინარი არსებაც კი რომ მოათავსოთ მხეცებში, იმათ ჩვევას მიიღებს. ადამიანების უგულობამ ბიჭი გაამწარა. შესძულდა ყველაფერი ამქვეყნად, ცუდ გზას დაადგა. ბოლოს ციხეშიც კი ამოყო თავი. გაანთავისუფლებდნენ თუ არა, ისევ ჩადიოდა დანაშაულს. ბოროტმოქმედება ცხოვრების მიზნად ექცა.

გადიოდა წლები. ალხასი ჩაუფიქრდა თავის საქციელს და მტკიცედ გადაწყვიტა: ასე აღარ შეიძლებოდა ცხოვრება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეწყვიტა კავშირი წარსულთან, დამდგარიყო სწორ, ადამიანურ გზაზე. ბოლო სასჯელი რომ მოიხადა, დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. მამის სახლში უცხო ადამიანები დაუხვდნენ. აქ მიიღო პირველი სულიერი ტრამვა. რახან გადაწყვიტა, სწორ გზას დასდგომოდა, სამუშაოზეც უნდა მოწყობილიყო, რომ პატიოსანი შრომით ერჩინა თავი. გადასახლებაში ალხასი მაღაროში მუშაობდა. სხვა სპეციალობა არა აქვს. მაღაროს უფროსმა ხაზარათ აცანბამ ვერ გაბედა ამგვარი წარსულის მქონე ადამიანის მიღება სამუშაოზე. იგი ხომ რამდენჯერმე იყო ნაპატიმრევი. აქ ალხასმა მეორე სულიერი ტრამვა მიიღო.

უსიამოვნო მთხოვნელი თავიდან რომ მოეშორებინა, აცანბამ იგი ათი დღის შემდეგ დაიბარა, მაშინ მეცოდინება, ადგილი მექნება თუ არაო. ამას რაღა მიხვედრა უნდოდა, არ სურდა სამუშაოზე მიეღო აბჟარბა, ქურდი ქურდობას ვერ მოიშლის, კვლავ რამე ბოროტებას ჩაიდენსო.

ალხას აბჟარბა კი მოთმინებით ელოდა იმ ათი დღის გასვლას, წუთებსა და საათებსაც კი ითვლიდა. რამდენჯერ მისულა მაღაროში, საათობით მდგარა წოლხვრელის შესასვლელთან, შენატროდა იმათ ბედს, ვინც ნახშირის მტვერში ამოგანგლული სამუშაოსაკენ მიიჩქაროდა. ეს იცოდა მაღაროს უფროსმა, მაგრამ სულაც არ ადარდებდა კაცის ბედი. გავიდა ათი დღე. ალხასი ისევ მივიდა ხაზარათ აცანბასთან სამუშაოს სათხოვნელად. მაღაროს უფროსმა აგდებულად მიახალა: „თუ ასე თავს იკლავ მუშაობისათვის, ისევ იქ წადი, საიდანაც მოსულხარო". ალხასს აევსო მოთმინების ფიალა და დანით მივარდა...

აი, ერთი მოწმის ჩვენება: „ყვირილი რომ გავიგონე, პირველი შევვარდი კაბინეტში. ჯერ მეგონა, ორჯერ ჩასცა დანა ხაზარათ პახუალის ძეს. ჩემთან ერთად სხვებიც შემოიჭრნენ ოთახში. მივვარდით ალხასს. სინამდვილეში თვითონ უნდოდა გულში ჩაეცა დანა. ერთი წუთი რომ დაგვეგვიანებინა, თავს მოიკლავდა."

თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ აპირებდა თავის მოკვლას? იმიტომ, რომ სხვა გზა არა ჰქონდა. ციხეში დაბრუნებას სიკვდილი ერჩია. ამას ისიც მოწმობს, რომ ალხასი თავის საბოლოო სიტყვაში ითხოვს, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მომისაჯეთო. ამითი თავს ხომ არ აბრალებს მოსამართლეებს? რასაკვირველია, არა. კაცი დაუბრუნდა სიცოცხლეს, სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი წარსულთან, ჩვენ კი მისი განზრახვის სიწრფელეში ეჭვი გვეპარება, არ ვიხედებით მის სულში. არ გვინდა გავიგოთ, მართალია თუ მტყუანი. ადამიანში კეთილი ყოველთვის სძლევს ბოროტს. აი, ეს კეთილი ვერ დავინახეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპსარის სახალხო სასამართლო ანთავისუფლებს ალხას ხაჯარათის ძე აბჟარბას.

ალხასს თავი სიზმარში ეგონა. წამოდგა, რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, არავის დაუძახნია, შემოტრიალდიო.

დარბაზი გაირინდა. ათასი თვალი მიაცილებდა კარებისაკენ მიმავალ ალხასს.

●

— მართალი არა ხარ, რაჟდენ. რაც გინდა თქვი და არ მომწონს შენი გადაწყვეტილება. არ ვიცი, როგორ ამართლებ ასეთ საშიშ ბოროტმოქმედს. მე მოსაკლავად მომვარდა, შენ კი ათავისუფლებ და, რაც მთავარია, სამუშაოდ ისევ მე მიგზავნი, — აღშფოთებით ლაპარაკობდა ხაზარათი.

— ჩემო კარგო, ადამიანი, ადამიანი უნდა დავიხსნათ. დავეხმაროთ, წესიერ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

— არა, რაჟდენ, მართალი არა ხარ. ეგ ხელიდან წასული კაცია. მაგისაგან კარგს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. შენ სახალხო მოსამართლე ხარ, ხალხმა დიდი საქმე მოგანდო. რამ გაფიქრებინა ცოფიანი ძაღლის განთავისუფლება?

— შენც ნუ გააცოფებ და არ გაცოფდება.

— მეტი საქმე არა მაქვს, მაგას ველოლიავო. თვე დამთავრდება და გეგმას მომთხოვენ, სახელმწიფო გეგმის შესრულებას. არა, რაჟდენ მაგას სამუშაოზე ვერ მივიღებ. ხომ გაგიგონია, ერთმა ჭირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო. თვალი როგორ გავუსწოროთ ერთმანეთს, ალხასმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმე უბედურება რომ შეგვამთხვიოს. ვერა, ვერ დავეთან-ხმები შენს გადაწყვეტილებას.

— გაიგე, ეს მხოლოდ ჩემი სურვილი კი არ არის, სასამართლოს გადაწყვეტილებაა. თუ არ მეთანხმები, ზემდგომ ინსტანციაში მიჩივლე. ჯერჯერობით კი ალხას აბჟარბა შენთან იმუშავებს.

— ვიჩივლებ.

— შენი ნებაა.

— პირველ მდივანს ვუთხარი, გაუკვირდა, სასამართლომ ასეთი ჰუმანიზმი როგორ გამოიჩინაო. ბოროტმოქმედი სასტიკად უნდა დაისაჯოსო.

— სასამართლომ დაასრულა ალხას აბჟარბას საქმე და მას აღარ განიხილავს. ერთი რამ მინდა გთხოვო: ცოტა მოითმინე, ხაზარათ, იგი ხომ ადამიანია. ვნახოთ, როგორ მოიქცევა. თუ გამართლდა შენი სიტყვები, მივუსჯით საკადრისს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ალხასი ცუდს არაფერს ჩაიდენს.

— ვინ არის ამისი თავდები?

— მე მჯერა მისი.

— მე კი არა.

●

მუდამ თავშეკავებულსა და დინჯ რაჟდენს ახლა ვეღარ იცნობდით. აღელვებული გაეშურა მანქანისაკენ. დიდხანს ეჯაჯგურებოდა მტკივანი ხელით მანქანის კარს. ჩაჯდა თუ არა, შოფერს მიაძახა: „ჩქარა საავადმყოფოსაკენ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა ქარივით მიჰქროდა აპსარასაკენ მიმავალ გზაზე. რაჟდენს მოაგონდა ხაზარათის სიტყვები: „მაპატიე, რაჟდენ, მაგრამ მე მაინც ვერ ვენდობი ალხასს. ასე მგონია, კვლავ რაღაც უბედურებას დაატრიალებს. საავდრო ღრუბელივით მოღუშული შემომცქერის. მგელივით მიყურებს. რა დაგიშავე, რატომ შემომაჩეჩე ეს კაცი. სულ იმის მოლოდინში ვარ, გაბოროტებული ვინმეს მივარდება და ქუჩური სიტყვებით გამოლანძღავს-მეთქი. მირჩია, როგორ მოვიქცე?"

მაშინ რაჟდენმა უპასუხა:

„დამიჯერე, ხაზარათ, ალხასი ცუდს არაფერს ჩაიდენს. უხეშია, მაგრამ გული კეთილი აქვს. მძიმე წარსული გამოიარა. პირველად მოხვდა წესიერი ადამიანების წრეში. ახლა განიცდის შრომის სიხარულს, ახლად დაიბადა. ჩვილი ბავშვივით დახმარება, ფეხზე წამოყენება უნდა. ყველანი მოვალენი ვარო ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობის გრძნობა ჩავუნერგოთ".

ხაზარათს ახლა წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მხოლოდ ღრმად ამოიოხრა.

ერთი კვირის შემდეგ რაჟდენის კაბინეტში შევიდა ალხასი. ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა. მხიარულად, გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. რაჟდენმა ჰკითხა, როგორ მუშაობდა, როგორ მოსწონდა ახალი გარემო. აი, რა უამბო ალხასმა: „მეორე დღესვე ოთახი მომცეს საერთო საცხოვრებელში. ორნი ვცხოვრობთ. მე ჩემი გასაღები მაქვს, იმას თავისი. არც კი მჯერა, რა საოცარია, თვალს არავინ მადევნებს. წესიერ, კეთილ ადამიანებთან ვმუშაობ. იმათთან ყოფნა სასიამოვნოა. კარგი ახალგაზრდები არიან. პა-

ტარა რამე რომ გაუკეთო, ცდილობენ, ორჯერ მეტად გვ=ი დაგიხადონ. რიგიანი გამომუშავებაცა მაქვს. თხუთმეტ დღეში სამოცი მანეთი მომცეს. სულ არ მოველოდი. რა დიდებულია, ეს ნაქურდალი ფული კი არ არის, ალალი შრომით ნაშოვნია.

— მაღაროს უფროსთან როგორა ხარ? — ვეღარ მოითმინა რაჟდენმა.

— მე იმასთან არაფერი საქმე არა მაქვს. ისე, ყველას მოსწონს, კარგი ადამიანია, კარგი ხელმძღვანელიო. ჩემთვის კი ყოველთვის შორეული, უცხო ადამიანი იქნება. ჩემთან საუბარს გაურბის. არც მე ვეჩხირები თვალში, არც იმას სიამოვნებს ჩემი დანახვა. კაცმა რომ თქვას, ან კი რატომ უნდა ვუყვარდე?

— შენ თვითონ თუ არ მიეცი საბაბი, სამუშაოდან ვერავინ მოგხსნის. ალხას, მე შენი იმედი მაქვს.

კარგა ხანს საუბრობდნენ. რაჟდენს გული სიხარულით ევსებოდა, რომ ხედავდა, ალხასი შეცვლილიყო. სადღა ჰქონდა ის მხეცური გამომეტყველება, დინჯად, გულთბილად ლაპარაკობდა.

ალხასი გამოეთხოვა რაჟდენს. შეხვეული მაგიდაზე დატოვა. სამუშაო რომ დაამთავრა, მხოლოდ მაშინ შენიშნა რაჟდენმა ეს. უნდოდა კარადაში შეენახა, მაგრამ უნებურად ზემოდან დადებულ „ყაზბეგის“ კოლოფს დახედა. კოლოფის უკანა მხარეზე ფანქრით იყო მიჯღაბნილი:

„რაჟდენ, ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ შენს სიკეთეს. არ ვიცი, შევძლებ თუ არა სამაგიეროს გადახდას. მინდოდა შენთან ერთად დავმჯდარიყავი და აღმენიშნა ჩემი კაცად გახდომა, მაგრამ მივხვდი, ეს შეუძლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. მეტისმეტს ვბედავდი. დაგვინახავდნენ. სად მე და სად შენა, რა ტოლები ვართ. შენ ცა და მე დედამიწა. დღეს ჯამაგირი ავიღე, ეს შენი წყალობითაა. მცირე ძღვენი მიიღე ჩემგან. მაპატიე, მაგრამ ეს ხომ ჩემი შრომით ნაშოვნი ფულითაა ნაყიდი."

რაჟდენმა გაზეთი გაშალა. ფუნთუშა, ნახევარი ლიტრი არაყი, ძეხვი და კიტრის წნილი იყო. რაჟდენი ააღელვა ამ ალალი საჩუქრის დანახვამ. გადაწყვიტა, იმავე საღამოს მოენახა ალხასი და მასთან ერთად ეჭამა ეს ღარიბული პურ-მარილი. მაგრამ სასწრაფო საქმეები ჰქონდა და ვეღარ შეძლო.

●

„ვცდებოდი, ასე რომ ვენდობოდი. ხაზარათი ხომ მთხოვდა, მაფრთხილებდა, არ გამეგზავნა მისთვის ეს გზასაცდენილი კაცი. არ დავუჯერე. იგი ჩემზე ჭკვიანი გამოდგა. დღეიდან მოსამართლე აღარა ვარ. მე თვითონ უნდა გამასამართლოს კაცმა. დამნაშავე ვარ, დამნაშავე," — ფიქრობდა გზაში რაჟდენი.

ხაზარათი დაშავებული მოიყვანეს საავადმყოფოშიო, სწორედ ახლა შეატყობინა ექიმმა. თან ისიც უთხრა, ავადმყოფს თქვენი ნახვა უნდაო. ნეტა რა მოხდა? ეს ალბათ ალხასის საქმეა! როგორ დაენახვოს თვალით ხაზარათს? რას იტყვის ხალხი! იმათ ხომ არწმუნებდა, ალხასი ცუდს აღარაფერს ჩაიდენსო?

შოფერმა მანქანა საავადმყოფოს კარებთან დაამუხრუ-

ჭა. რაჟდენი გამოფხიზლდა. მთელი მაღაროს მუშები
იყვნენ. ყველას შეწუხებული სახე ჰქონდა. უხმოდ დაუთ-
მეს გზა რაჟდენს. რაჟდენი ზურგს უკან გრძნობდა მათ
მზერას.

„ალბათ ჩემს განსჯაში არიან“, — ფიქრობდა რაჟდე-
ნი, კიბეზე რომ ადიოდა.

— აქეთ მობრძანდით, ამ პალატაში წევს ხაზარათი,—
შეეგება ექიმი.

ხაზარათს მთელი თავი შებინდული ჰქონდა, ქუთუთო-
ებიც კი არ უჩანდა. საწოლის თავთან ნამტირალევი ასიდა
იდგა. რაჟდენის დანახვაზე ფეხაკრეფით გავიდა პალატი-
დან. ასიდას ქცევამ კიდევ უფრო ააღელვა რაჟდენი.

— ახლოს მოდი, — დაუძახა ხაზარათმა მისუსტებუ-
ლი ხმით. რაჟდენი დანაშაულში დაჭერილი ბავშვივით მი-
ვიდა ავადმყოფის საწოლთან. უნდოდა ბოდიში მოეხადა
ხაზარათისათვის, ეთქვა, ყველაფერი ჩემი ბრალიაო, მაგ-
რამ სიტყვები ყელში გაეჩხირა.

— ახალ ფენას ვსინჯავდით, — დაიწყო ხაზარათმა.
დრო და დრო ჩერდებოდა, სულს იბრუნებდა. — ყველა
უბანზე შეწყვეტილი იყო მუშაობა. ყველანი გაფრთხილე-
ბულები იყვნენ. მაღაროელები გასასვლელთან შეკრები-
ლიყვნენ. აქვე იყო ალხასიც. თვალებში შემომცქეროდა.
ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა. სულ
გამოიცვალა. თვალებში სიხარულის ნაპერწკალი უბრწყი-
ნავდა. მე განსაკუთრებით მაოცებდა მისი ასე შეცვლა, მაგ-
რამ არ ვიმჩნევდი. ერთი სიტყვით, ამფეთქებლებთან ერ-
თად გავემართეთ ფენისაკენ.

— ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, — ექიმი ავადმყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის საწოლთან ჩამოჯდა. რაჟდენი ერთ ადგილას გაქვავებულიყო.

— იმ დღეს პირველად გამოვიყენეთ ნახშირის ჩამონგრევაში დინამიტის მეთოდი,—განაგრძობდა ხაზარათი,— მაღაროელები უშიშარ ადგილას იყვნენ. სულ იმას ვფიქრობდი, ვინმეს რამე არ დაშავებოდა. ავაფეთქეთ. ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ჭერმა გაუძლო. მაინც ვამოწმებდით ალაგ-ალაგ, ვუკაკუნებდით... ერთ მონაკვეთამდე მივედით. — ავადმყოფმა ჩაახველა, უჭირდა ლაპარაკი.

— ამდენი ლაპარაკი გაწყენთ, — კვლავ გააფრთხილა ექიმმა.

— კარგით, ახლავე დავამთავრებ. მივაღწიეთ და უცბად გრიალით ჩამოწვა ჭერი. აქეთ ყრუ კედელი გვეღობებოდა. საშინელი ჯოჯოხეთი დატრიალდა. უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა. ჰაერი აღარ გვყოფნიდა, გვიჭირდა სუნთქვა. დაგროვდა მეთანი. გაზის კონცენტრაციის გადიდებას საშინელი აფეთქება მოჰყვებოდა. ჩემს თავზე აღარაფერს ვამბობ, საფრთხეში იყო იმათი სიცოცხლე, ვინც ქვემოთ დარჩა. ხმელეთზე გამოყრილ თევზებს ვგავდით. პირდაღებულები ვისუნთქავდით გაზშერეულ ჰაერს. უეჭველად სიკვდილი გველოდა. ჩვენს გადარჩენას ვინ იფიქრებდა. გონს რომ მოვედი, პირველად ის ვიკითხე, რა სასწაულმა გადამარჩინა-მეთქი. იცით, რა მიამბეს: როგორც კი ლავა წამოსულა, ალხასი პირველი შეჭრილა შიგ, დიდის გაჭირვებით ჩვენთან მობობღებულა და მარტო მე და მნგრევლები კი არ გადაგვარჩინა, ყველა, ვინც იმ დროს მიწისქვეშ, მაღაროში, იმყოფებოდა. ხოლო თვითონ... ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის წინ, სანამ შენ მოხვიდოდი, სანიტრებმა დან-მარებით მის პალატამდე მივედი. მინდოდა, თავი დამეხა-რა იმ ვაჟკაცის წინაშე, ბოდიში მომეხადა, რომ არ ვენდო-ბოდი, მაგრამ არ შემომხედა, კედლისაკენ გადაბრუნდა... სულ შენ გიხმობდა.

ახლა ძალიან სჭირდება მახლობელი ადამიანის მხარ-დაჭერა და გამხნევება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნ-და გადავარჩინოთ...

●

— ალხას, ჩემო კარგო, თვალი გააახილე, მე ვარ, — მეტისმეტად აღელვებული და შეწუხებული რაჟდენი ძმუ-რი სიყვარულით ეხვეოდა მის ძლიერ, დამსხვრეულ სხე-ულს. სიცოცხლე სიკვდილს ებრძოდა. მკერდი აუდ-ჩაუდი-ოდა. ალხასი მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. ბუ-რანში მყოფს ჩაესმა ნაცნობი ხმა. ალხასმა თვალები გა-ახილა. უსიცოცხლო, ფერმკრთალ ლოყებზე ორი კურცხა-ლი ჩამოუგორდა.

— შენა ხარ, რაჟდენ? მე არაფერი მიჭირს, — თქვა წყნარად, რაჟდენის შეშფოთება რომ შენიშნა.

რაჟდენი უხმოდ იჯდა მის საწოლთან. მრავალ სატან-ჯველგამოვლილ კაცს გული ეკუმშებოდა ამ ძლიერი ადა-მიანის სიბრალულისაგან.

— ის... როგორაა? — ალხასი ძლივს ლაპარაკობდა.

— საშიში არაფერი აქვს, გადარჩება, — დაამშვიდა რაჟდენმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საწოლთან ვინ უზის?

— ნუ დარდობ, ექიმი.

— საწოლთან ვინ უზის? — თითქოს პასუხი არ გაუგონიაო, ისევ იკითხა ავადმყოფმა.

რაჟდენი მხოლოდ ახლა მიხვდა, ვისზე ლაპარაკობდა... არაფერი უთქვამს. ფრთხილად, თითის წვერებზე წავიდა კარებისაკენ.

— უკვე მიდიხარ?!—ნაღვლიანი თვალი გააყოლა ალხასმა.

— არა, არ მივდივარ. ერთი წუთით...

— ჯერ ნუ წახვალ.

რაჟდენმა გადაწყვიტა, ასიდასათვის დაეძახა, მაგრამ აღარ იცოდა, როგორ მოეხერხებინა. ბედად, პალატიდან რომ გამოდიოდა, ასიდას შეეჩეხა.

— სად მიდიხარ, ასიდა?

— ხაზარათი რომ გადაარჩინა, თურმე ის კაცი აქა წევს, ხაზარათმა მითხრა. მგონი, თქვენ იქიდან მოღიხართ. როგორ არის?

— ცუდად, ძალიან ცუდად.

რაჟდენი და ასიდა ალხასის საწოლთან მივიდნენ. ავადმყოფმა იცნო წინანდელი, საყვარელი ასიდა. ჯერ გაეხარდა, დიდხანს უხმოდ შესცქეროდა ბედნიერი თვალებით. მაგრამ მოულოდნელად თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

— ასიდა, ასიდა, — წამოიკვნესა მან.

— ალხას, ალხას, შენა ხარ? — დაიყვირა ასიდამ. ეს ისე მოულოდნელი იყო მისთვის, რომ მთლად გაშრა.

— მე ვარ, მე, ალხასი! — ყრუ ხმით წარმოთქვა ავად-

მყოფმა. რაღაც არაადამიანური ძალით წამოჯდა საწოლზე. თვალებში რაჟდენისათვის ნაცნობი ნაპერწკლები აუციმციმდა. სუნთქვა დაუმძიმდა, ხრიალებდა.

— რატომ არ იცინი?! გაიცინე, გაიცინე, გა... — დაიკვნესა ალხასმა, თან ფითრდებოდა და გონებას ჰკარგავდა. უძლური სხეული საწოლზე დაცურდა...

●

რაჟდენი და ასიდა უხმოდ იდგნენ კართან, ერთმანეთს არ უყურებდნენ. ასიდას სულში გაიღვიძა კარგა ხნის წინათ მიძინებულმა, მივიწყებულმა დიდმა გრძნობამ. მას აგონდებოდა სამუდამოდ დაკარგული, მაგრამ გულში ჩარჩენილი ბედნიერი ახალგაზრდობის წლები... ის თბილი, სასიამოვნო საღამო, როცა ალხასი გაიცნო. ალხასმა კინოში დაპატიჟა, მერე შინ გააცილა. უნებურად მოაგონდა, რა ეცვა მაშინ... ძალღონეგამოცლილი მიაწვა კედელს, ცრემლებით დანამულ სახეზე ხელები აიფარა, მერე გულზე დაიკრიფა. თითქოს გუშინ იყო, როცა იგრძნო თავისი ხელი ალხასის ღონიერ ხელში. მისი მჩხვლეტავი ლოყა... ალხას!

უცბად კარი გაიღო და პალატიდან ექიმი გამოვიდა. თვალებში ვერც სიხარულს შენიშნავდით და ვერც მწუხარებას. ასიდას გული გაუჩერდა. ხელები გაიწვდინა მისკენ.

— ექიმო, მითხარით, გადარჩება? — წარმოთქვა მის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა ფერგამკრთალმა ბაგეებმა,—მითხარით, ხომ გადარჩება, ხომ იცოცხლებს?

— მე ვფიქრობ, გადარჩება. — წყნარად თქვა ექიმმა, მისი შუბლი ოფლს დაეცვარა.

ასიდას სუნთქვა შეეკრა. შერცხვა და მოკრძალებით შეხედა რაჟდენს. მის თვალებში იმედი ამოიკითხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უწყება

ჩამავალი მზის სხივები საამოდ ეფინებოდა მთის მწვერვალებს. ძილისაგან მოთენთილი ბოკო მურასკუა ზანტად გაიზმორა, ყურმილი აიღო, ნომრები აკრიფა და ჩასძახა:

— ალო! ალო! პოლკოვნიკი აბსანძე მინდა! პოლკოვნიკი ბრძანდებით? ალო, საღამო მშვიდობისა, ბატონო ტრიფონ!

— გამარჯობათ. უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ბოკომ მილი ტუჩებთან მიიტანა და ჩასძახა:

— ეს მე ვარ... მე... — მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა, თითქოს რაღაცამ სუნთქვა შეუკრაო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პირი გააღო, სახე დამანჭა, კბილები ძაღლივით დაკრიჭა და ერთი ორჯერ ცხვირი რომ დააცემინა, სული მოითქვა. — მე თქვენი ახალი მეზობელი ბოკო ვარ, —თქვა და ცხვირში კვლავ რაღაცამ შეუღიტინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აა... ძალიან სასიამოვნოა, რა გნებავთ? გისმენთ!

— მინდოდა გამეგო, მეოთხე კურსის სტუდენტს ჯარში წაიყვანენ თუ ვადას გაუგრძელებენ? — თქვა და სუნთქვაშეკრული პასუხს დაელოდა.

— პატივცემულო ბოკო, მართალია, ისინი გამოძახებული არიან კომისარიატში, მაგრამ სწავლის დამთავრებამდე ვადას გაუგრძელებენ.

— გმადლობთ, პოლკოვნიკო, უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ, — თქვა ბოკომ და ყურმილი დაკიდა. სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ამ ამბით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

მერე აივანზე გამოვიდა და ცოლს გასძახა:

— ლოლა, პოლკოვნიკს რომ ველაპარაკებოდი, ორჯერ კარგა გულიანად დამაცემინა. მითხარი, რას უნდა ნიშნავდეს?

— ორჯერ?

— ჰო, კინაღამ მესამეც არ მივაყოლე!

— ეგ კარგის ნიშანი უნდა იყოს. რაზეც კომისარს ელაპარაკებოდი, ის საქმე უეჭველად გაკეთდება, — თქვა მეორე ოთახიდან გამოსულმა შავგვრემანმა, კაფანდარა ქალმა. — რა გითხრა პოლკოვნიკმა?

— საქმე ისე შეტრიალდა, როგორც მე მინდოდა. იგი ახლა ჩემს ხელშია. მოდი, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, როგორი ძღვენი ჩამოიტანოს, — თქვა ბოკომ და დამშვიდებით ჩამოჯდა სკამზე.

— ჩუმად! აგერ, მოვიდა კიდეც, — ქმარს სიტყვა შეაწყვეტინა ლოლამ.

— რაო! მოვიდა? — ბოკომ ენაზე იკბინა. წინა ოთახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მაღალი ტანის, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— ნეტა, თუ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი? — თქვა ბოკომ და ცოლს შიშისაგან დაჭყეტილი თვალები შეაფეთა.

— არა, ვერ შეგვნიშნა, არც არაფერი გაუგონია, — დაამშვიდა ლოლამ ქმარი.

●

ერთ-ერთ უსახელო ქუჩაზე, ორსართულიან სახლში, ცხოვრობს ბოკო. ორი თვეა, რაც აქ დასახლდა, მანამდე საკუთარი კერა არ ჰქონდა და ხან ერთ ნათესავთან იყო შეკედლებული, ხან მეორესთან. 1937 წელს თითქოს პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა. მასწავლებლობა არ ინდომა და აგურის ქარხანაში მებუფეტედ დაიწყო მუშაობა. მაგრამ ბედმა არ გაუღიმა, ქურდობა ვერ მოახერხა. ერთი გრამიც რომ დაეკლო, მყიდველები ისე მიაფრინდებოდნენ, როგორც ჩიტები ბუს. ბუფეტში რომ ვერ ნახა ხეირი, ლუდის გამყიდველად დაიწყო მუშაობა. აქ კი გიყვარდეს, გაბედა ქურდობა. არა, ლუდის გამყიდველობაზე სარფიანი არაფერი ყოფილა. თითქმის ერთი წელიწადი იმუშავა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ფარდული დახურეს. ბოკო მთელი კვირა ისე დარდობდა, თითქოს ახლობელი დაკარგვოდა. მერე სამწვადეში დაიწყო მუშაობა. ამ დღიდან ბოკოს ღიპი დაედო და სიგანეში წავიდა. ბოკოს ხშირად უფიქრია, რა მეშველებოდა, ჭკუა რომ არ გამომეჩინა და მასწავლებლობა დამეწყო. თვეში ორმოცდაათი მანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით ხომ შიმშილით მოვკვდებოდიო. ახლა კი ორმოცდაათ მანეთს ორ დღეში შოულობდა და ოჯახიც უზრუნველყოფილი ჰყავდა საჭმელ-სასმელით.

სამამულო ომის წლები ბოკომ სამზარეულოში, ქვაბის გვერდით გაატარა. 1951 წელს მურასკუა სოხუმში დანიშნეს მასწავლებლად. მეორე წელს სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. რასაც ოცნებითაც ვერ მისწვდებოდა, ცხადში აუხდა. სოხუმის ჰავამაც ხელი შეუწყო, გამოიცვალა, დაავიწყდა ის დრო, როცა ქაფიან ლუდსა ჰყიდდა და ახლა სახლის აშენებაც კი მოინდომა.

მიწის ნაკვეთი ადვილად იშოვა და სახლის შენება დაიწყო. სწორედ ამ დროს უბედურება დაატყდა თავს. გაუგეს, რომ ყალბი დიპლომი ჰქონდა და სრულიად მოულოდნელად, უდავიდარაბოდ. გაანთავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან. მაგრამ არ დაბნეულა, თავი მოისაწყლა, იმავე სკოლაში მნეს ადგილი ითხოვა და, როგორც თვითონ ამბობდა, ქერის ორმოში ამოჰყო თავი. სკოლის შესაკეთებლად გადმორიცხულ მასალას: ფიცრებს, ცემენტს, კირს, მინას და სხვა რამეს აშკარად თუ ფარულად იპარავდა და მისი სახლის კედლებმა მაღლა აიწია. ამგვარად, თითქმის ნახევრად დაამთავრა სახლი, თუმცა საბრალოს ბედმა აქაც უღალატა, სკოლის გაძარცვისათვის კვლავ სამუშაოდან მოხსნეს. რა ექნა უიღბლოს, როგორ დაემთავრებინა სახლი?

არა, ბოკოს გულხელი არ დაუკრეფია. კვლავ სამუშაოს დაუწყო ძებნა და ვიღაც-ვიღაცეები შეაწუხა. კვლავ ეწვია ერთ თავის ამხანაგს, რომელიც აფხაზეთის კურორტვაჭრობაში მუშაობდა. მათ პედაგოგიური სასწავ-

ლებელი ერთად „დაამთავრეს“. ბოკო მოუყვა მეგობრებს
გასაჭირს და დახმარება სთხოვა. მეორე დღესვე გრძელ,
თეთრ ხალათში გამოწყობილი ბოკო ერთ-ერთ კიოსკში
მარჯვედ ჰყიდდა წყალს. უნდა გენახათ, ეს ლამის ათფუ-
თიანი, კასრივით დამრგვალებული, ღიპიანი კაცი როგორ
სწრაფად და მოხერხებულად ვაჭრობდა: ნახევრად ქაფით
სავსე ჭიქას ბოკო ღიმილით, თავაზიანად აწვდიდა მყიდ-
ველს, ხურდის დაბრუნების დროს კი გულუბრყვილო სა-
ხით ცდილობდა თვალი აერიდებინა მყიდველისათვის და
რითიმე გაერთო.

— როდემდე ვუცადო ხურდას? — ისმის ხანდახან უკ-
მაყოფილო ხმა.

— უი, ღმერთო კი მომკალი, ხურდა არა მაქვს! შემდეგ
გამოიარეთ და, თუ მექნება, მოგართმევთ! — ამბობს ბოკო
და ფულის უჯრას ეჯაჯგურება, თითქოს ცდილობს გამოს-
წიოს და ვერ გამოუწევიაო, თან კი შიშით გული უსკდება,
ხურდა არ აჩხრიალდესო.

ასე მუშაობდა ბოკო და დაამთავრა კიდეც თავისი რვა-
ოთახიანი სასახლის მშენებლობა. ახლა კი ერთ-ერთი ოთა-
ხი დაქირავებული ჰქონდა შალვა ანსბას, სოხუმის პედინ-
სტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტს.

გუშინ, შაბათ საღამოს, შალვა თავის მშობლებთან სო-
ფელში გაემგზავრა. მისი წასვლის შემდეგ სამხედრო კო-
მისარიატიდან უწყება მოიტანეს და, რაკი იგი შინ არ
დაუხვდათ, უწყება სახლის პატრონს ჩააბარეს. სოფლიდან
დაბრუნებული შალვა სწორედ იმ დროს შევიდა ოთახში,
როცა ცოლ-ქმარი მასზე ლაპარაკობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რამდენიმე წუთის შემდეგ ბოკო ისე, რომ კარზე არც კი დაუკაკუნებია, მანჭვა-გრეხით შევიდა შალვას ოთახში და თან უწყება შეიტანა. საღამო მშვიდობისა არც უსურვებია, ცუდადაა საქმეო, უთხრა თავდახრილმა და თავის ღიპს ისე გულმოკლული დააჩერდა, თითქოს კისერზე ათასი ობლის დარდი აწვა.

— რა მოხდა, ვინმე ხომ არ მომკვდარა? — შემცბარი შალვა ფეხზე წამოხტა.

— არა, სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ... თქვა ბოკომ და ამოიოხრა.

— რაიმე უსიამოვნებაა? მითხარით, რა მოხდა? — წამოიყვირა შალვამ.

— ჯარში გა-გი-წვი-ეს, — უთხრა ბოკომ და წარბებაწეული სახეში მიაჩერდა.

— უჰ! მე კი შემეშინდა. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე უბედურება შეგემთხვათ. მაშ, ამან შეგაწუხათ?

— როგორ არ შევწუხდებოდი. მართალია, მხოლოდ ერთი თვეა, რაც ჩვენთან ცხოვრობ, მაგრამ ისე შეგეჩვიე, თითქოს დიდი ხანია გიცნობდე... ისეთი სათნო ხარ, მალამოსავით ედები კაცს გულზე. კარგი ხასიათი გაქვს, ეს მხიბლავს ასე შენში. ზედმეტი ლაპარაკით აღარ შეგაწუხებ, მხოლოდ გეტყვი, საკუთარ შვილებს მირჩევნიხარ, შენ კი როგორც გინდა, ისე გაიგე.

ბოკომ სკამი მიიწია, უხმოდ მიუჯდა პატარა, მრგვალ მაგიდას და მიაშტერდა უწყებას, ხელში რომ ეჭირა. იმ

წუთს შალვას აზრადაც არ მოსვლია, ასე რატომ ეწყინა ბოკო მისი ჯარში წასვლის ამბავს.

„შეხეთ, რა კეთილი სახლის პატრონი მყავს“, — ფიქრობდა შალვა და ბოკოს გულის წუხილს ვერ მიმხვდარიყო.

— რაზე ფიქრობ, შალვა, იქნებ შეშინდი, ჰა! — უთხრა ბოკომ, თან დამრგვალებულ ნიკაპზე ხელს ისვამდა და თვალმოჭუტული შალვას მისჩერებოდა.

— არა, რისი უნდა მეშინოდეს, მე მხოლოდ თქვენზე ვფიქრობ.

— აა, რა თქმა უნდა, ცხადია, ჩემზე იფიქრებ, — გაუხარდა ბოკოს. — შენ, ალბათ, სოხუმში არავინ გყავს ახლო მეგობარი, სამხედრო კომისარიატში რომ ჰყავდეს ნაცნობი. მაგრამ ნუ გეშინია, რაც ჩემს ხელთაა, გაგიკეთებ,— თქვა და რამდენიმე წუთის წინ მოჭუტული, დაწითლებული თვალები გაახილა... — დღეს რვა რიცხვია, შენ კი ათში ხარ დაბარებული, — განაგრძო ბოკომ. — თუმც უწყებაში არაფერია ნათქვამი, როდის გგზავნიან, მაგრამ განა არ იცი, შალვა ჩემო, რომ დაგინახავენ, არ მოგეშვებიან, იმ დღეს თუ არა, მეორე დღეს უსათუოდ გაგგზავნიან. ნუ გეფიქრება, საქმე, უკვე გაგიკეთე, არ წაგიყვანენ. პოლკოვნიკ აბსანძის ძმა ჩემი დიდი მეგობარია. კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. პურ-მარილი ერთად გვიჭამია. ჰოდა, თუ რაიმეს ვთხოვ, თავს არ დაზოგავს, რაც შესაძლებელია, ყველაფერს გააკეთებს.

იმ დღესვე, როგორც კი შენს სახელზე უწყება მივიღე, უმალ მასთან გავეშურე და მოველაპარაკე. ვთხოვე, რომ მის ძმას ჯარში არ წაეყვანე. მართალი გითხრა, ბევრი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვეწნინა, საქმე გაკეთებულია. კომისარიატში მიხვალ თუ არა, გაგათავისუფლებენ. ოღონდ, შენი ჭირიმე, არსად არაფერი დაგცდეს, ყველას კი არ გაუკეთებს ამას, მე მენდობა. მაშ ასე, ჩემო შალვა, შენი ბედნიერი თვალებით ხედავ, რომ შენს აქ არყოფნაში გულხელდაკრეფილი არ ვმჯდარვარ, გავაკეთე ის, რასაც შენი ჯიგარიც კი არ გაგიკეთებდა. ახლა შენი ბედი შენს ხელთაა. პოლკოვნიკის ძმას პატარა სუფრა უნდა გავუშალოთ, პურ-მარილს დიდი ძალა აქვს, გულს მოულბობს, და, სადაც ვერ გადაბობღდები, მსწრაფლ გადაგახტუნებს. ამისათვის რაა საჭირო? ბევრი არაფერი, სამიოდე ბოთლი მაჭარი, ორი ბოთლი ჭაჭა, ოთხი ჩასუქებული ცივად მოხარშული დედალი, ორი კარგა დაბრაწული გოჭი. შემოდგომის გოჭები ძალიან უყვარს პოლკოვნიკის ძმას. — თქვა ბოკომ და თითქოს ყველაფერი ეს უკვე მის ხელთ იყო, ტუჩები ააწკლაპუნა და ნერწყვი გადაყლაპა... — ამას დავუმატოთ რამდენიმე სულგუნი და სხვა სურსათ-სანოვაგე, ეს სალაპარაკოც არაა. ყველაფერი აქ მოიტანე. უდავიდარაბოდ, ჩუმად დავპატიჟოთ. თავდაპირველად ეს ეყოფა, ფულზე კი მერე დამშვიდებით მოვილაპარაკოთ. რას იტყვი, შალვა, ა?

შალვას სული ყელში მოებჯინა. თუ ადრე ვერ მიმხვდარიყო ბოკოს ასეთი „წუხილის“ მიზეზს, ახლა მისთვის ყველაფერი აშკარა გახდა. გაცეცხლებულს ის იყო უნდა გამოელანძღა „მზრუნველი“ სახლის პატრონი, რომ ანაზდად თავში ფიქრმა გაურბინა — „დათანხმდიო“, და შეჩერდა, ვნახოთ, რა იქნებაო.

შალვას თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და იატაკს უხმოდ

მიშტერებოდა. შემდეგ უეცრად სახე გაუბრწყინდა და ბოკოს შეხედა.

— ვმადლობთ, ბოკო, ჩემი გულისთვის რომ თავი შეიწუხე. ამ საღამოს ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ჩემი კეთილისმსურველი ხარ. თანახმა ვარ, როდის გავშალოთ სუფრა?

— მე მგონი, ხვალ საღამოსვე აჯობებს, რადგან ზეგ გამოძახებული ხარ.

— მეც ეგრე ვფიქრობ. ახლავე შინ გავემგზავრები, — განაგრძო შალვამ.—ხვალ საღამოს დავბრუნდები, თუ ბედად აქეთ მომავალი მანქანა შემხვდა, თუ არა და, თორმეტი საათის მატარებელზე უსათუოდ ჩამოვალ.

შალვა სასწრაფოდ წამოდგა, რომ გამგზავრების თარიღი დაეჭირა. ბოკო და შალვა ოთახიდან ერთად გამოვიდნენ.

— ახლავე ფიქრობ წასვლას?

— დიახ, საკუთარ თავზე ძვირფასი რა გამაჩნია, არ დავზარდები და დღესვე წავალ შინ.

— სხვანაირად როგორ იქნება, ყოჩაღ, ჯარში თუ არ გინდა წასვლა, ასე უნდა მოიქცე. წადი, წადი, ხვალ საღამოს გელი, — მხარზე ხელი დაჰკრა ბოკომ.

— მეტს ნურაფერს მეტყვი, ბოკო, ყველაფერს გავაკეთებ. აი, თავად ნახავ!

შალვა სახლიდან გავიდა. გახარებული ბოკო ძუნძულით მიჰყვა ხუთიოდე ნაბიჯზე და უკან გამობრუნდა. ამ დროს კიბეებზე კისრის მტვრევით, თითქოს რაღაც ცუდი ჩაიდინა და უკან მოსდევენო, ლოლა დაეშვა. ქმრის წინ რომ გაჩნდა, ძლივს ამოილუღლუღა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთო, ბოკო, აბა გაიხსენე, კიდევ რა დაგავიწყდა? — და ბოკოს სიტყვის თქმა არ აცალა, ქოშინით თვითონვე დაუმატა: — დაეწიე და უთხარი, მარილი და წითელი წიწაკა წამოიღოს. გესმის?

— აგერ მიდის, დაეწიე და უთხარი!

შალვა ჯერ ჭიშკარს არ გასცილებოდა. ლოლა სირბილით გამოუდგა. გრძელ კაბას ქარი უფრიალებდა, რაკი დარწმუნდა ვერ დავეწევიო, გზაზე გავიდა და ხმამაღლა მიაძახა:

— შალვა, მარილი და წიწაკა არ დაგავიწყდეს!

— არ დამავიწყდება, არა! — მიუგო შალვამ და თავისთვის ჩუმად დაუმატა: — დამაცათ, თუ ცოცხალი დავრჩი, შაბიამნიან პილპილის ნაყენს დაგალევინებთ.

შალვას მოტყუებით გახარებულ ბოკოს სიცილი აუტყდა, მაგრამ იმის შიშით, ვაითუ გამიგოსო, პირზე ხელი აიფარა და სირბილით ოთახში შევარდა.

თითქოს დაჭიმულმა ზამბარამ აისხლიტაო, ლოლაც ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში.

აქლოშინებული ცოლ-ქმარი სავარძლებში ჩაკოტრიალდნენ, ერთ ხანს თვალდაჭყეტილებმა უცქირეს ერთმანეთს, მერე კი სიცილი აუტყდათ.

— ოღონდ თავი გადაირჩინოს და მამის ქონებას არ დაიშურებს. თქმა არ უნდა, ქერის ორმოში ჩავვარდით.

— მიკვირს სწორედ, რა უთხარი ისეთი, რომ სულ სირბილით გავარდა?

— აბა, როგორ უნდა წასულიყო? შენ ჯერ კიდევ არ იცნობ შენს ქმარს.—ბოკომ ისე დაიწყო თავის ქება, თით-

ქოს დიდი გმირობა ჩაედინოს. ინდაურივით გაიფხორა და ვანზე წამოჯდა და ცოლს მედიდურად გადახედა.

ლოლას გული მოულბა. ხელი გადაუსვა ქმარს ჭაღარა თავზე.

— ნახავ, ხვალ შალვა რა სანოვაგეს ჩამოიტანს. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ დიდი პატივი გვცა. როცა ახალ სახლში ვსახლდებოდით, უნდა დაგვეპატიჟა, მაგრამ ჩვეულებრივ სუფრას ხომ ვერ ვაკადრებდით, ახლა კი, როგორც ხედავ, საქმე მოკვარახჭინდა. ხვალ საღამოს დავპატიჟოთ, არც ფულის ამოღება დაგვჭირდება ჯიბიდან და მარაგიც ხელუხლებელი დაგვრჩება. ამაზე უკეთესს რას ნოიგონებ. ვიტყვით, რომ სუფრა მისთვის გავშალეთ, პურმარილს დაგვიფასებს. დამშვიდებით მოველაპარაკებით, რომ პატარა მიწა მოგვიზომოს. ამ მხრიდან თუ მოგვიზომავს — ჩვენი იქნება თუთის ბუჩქნარი, იქიდან კი —მთაზე რომ მაღალი დაფნაა. მომავალ წელს ხეხილის ნერგები დავრგათ და, მერწმუნე, მერე კარგ ფასად გაიყიდება. რას იტყვი, ხომ კარგად მოვიფიქრე?

ბოკომ წარმოიდგინა, თითქოს უკვე კარგ ფასში გაყიდა მიწა და იმდენი ფული აიღო, რომ არ იცის, სად წაიღოს, და დაიწყო ტრაბახი.

— ეგ ჭკვიანური გამოგონებაა, მაგრამ რა ვუყოთ პოლკოვნიკს?

— პოლკოვნიკს? პოლკოვნიკი რა შუაშია, ხომ არ შეიშალე? ის რომ მოვიდეს, შეიძლება გაიგოს რაშიც არის საქმე. ჰოდა, ხომ იცი, თუ გაიგო, მზეს მოგანატრებს. — ბოკოს გუნება გაუფუჭდა.

— მაშ, შალვას ვინ უნდა აჩვენო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, შენ ეს გაწუხებს? ჩვენს სტუმარს წარვუდგენთ. ვეტყვი, პოლკოვნიკის ძმაა-თქო. გგონია ჰკითხავს რამეს! ისეთი მფრთხალი ყოფილა, რომ დარწმუნებული ვარ, სტუმრებთან არც კი გამოვა.

მეორე დღეს, რომ მოსაღამოვდა, ბოკო ფეხმოუცვლელად იდგა აივანზე და შალვას ელოდა. ლოლა მეზობლის ქალთან ერთად სახლს ალაგებდა, სტუმრის დასახვედრად ემზადებოდა. დაღამდა. ბოკო შინ შევიდა, დარწმუნდა, რომ შალვა თორმეტ საათზე ადრე არ ჩამოვიდოდა. მაგრამ გული მაინც არ დაუმშვიდდა. ყოველ ხმაურზე წამოხტებოდა და გარეთ გარბოდა შალვას შესაგებებლად.

— ნეტა რა ამბავია? არა ჩანს, — ბუზღუნებდა ბოკო და თან ბოლთას ცემდა. ამ მოლოდინში რომ იყო, სტუმარიც მოვიდა. ბოკო მეტისმეტად თავაზიანად მიეგება. თორმეტ საათამდე, სტუმარს რომ არ მოეწყინა, პირი არ გაუჩერებია, განუწყვეტლივ ლაყბობდა და თან გამშრალ ტუჩებს ენით ისველებდა. მაგრამ თორმეტი რომ გახდა, აწრიალდა, სტუმარი მიავიწყდა, ჭოლოკივით ჭიშკარში აეყუდა და სულ გარეთ იცქირებოდა. როგორც კი შორიდან მომავალ ვინმეს შეამჩნევდა, დაჟინებით აცქერდებოდა:

— ეს ნამდვილად შალვაა! მოიცა... ვგონებ დატვირთული მოდის.

ბოკომ წარმოიდგინა, რომ შალვა ჩამოვიდა, გაუღო ჭიშკარი, გაატარა, თან კმაყოფილმა ულვაშებში ჩაიცინა და მის უკან ჭიშკარი მიაჯახუნა.

— ეშმაკსაც წაუღიხარ, რატომ დააგვიანე? — წყევლის ბოკო შალვას.

აი, აი, ეს კი, ახლა რომ უახლოვდება, ნამდვილად ისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოკომ თვალები მგზავრს მიაშტერა, „თორმეტი საათია“ მკაფიოდ გაისმა რადიოს დიქტორის ხმა, შალვა კი არსად ჩანს. ბოკოს ცეცხლი მოეკიდა, გაშმაგდა. დამშეული სტუმარი კი ზის, რული მოერია, თავი ჩაქინდრა და სკამზე რყევა დაიწყო, საცაა გადმოვარდება. ზოგჯერ თავს ასწევს და ჭიქიდან წყალს მოსვამს.

შალვას ამ დროს მშვიდად მოუკალათებია თავისი ამხანაგის ოთახში და ფელეტონს წერს.

ღამის პირველი საათია. ბოკო დარწმუნდა, რომ შალვამ მოატყუა და აღარ ჩამოვიდა.

— შენ მოუკვდი შენს პატრონს, როგორ შემარცხვინე!

„თავი რომ მთლად არ მომეჭრას, უმჯობესია სტუმარს ორიოდე ჭიქა ღვინო დავალევინო“, — გაიფიქრა მან და ღვინის საყიდლად გადაწყვიტა წასვლა.

წასვლით კი წავიდა, მაგრამ უკვე ღამის ორი საათი იყო და ყველა მაღაზია დაკეტილი დაუხვდა.

რაღას იზამდა, დამწუხრებული და ნაღვლიანი ბოკო აქოშინებული, ცარიელი ბოთლების ჩხარაჩხურით დაბრუნდა შინ თავის მშიერ და ძილგატეხილ სტუმართან.

მეორე დღეს, დილით, შალვა თავის მეგობრებთან ერთად სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა. როცა ყველა წვევამდელმა მოიყარა თავი, გამოვიდა პოლკოვნიკი აბსანძე, ღიმილით გადახედა მათ და მიმართა: „ამხანაგო მეოთხე კურსელებო! ვადა გიგრძელდებათ სრული კურსის დამთავრებამდე. ახლა კი გისურვებთ სწავლის წარმატებით დამთავრებას!“

რაიონული კომისარიატიდან დაბრუნებულმა შალვამ თავის ოთახში შეიარა. ბარგი, რასაც კი მოერეოდა, ახალ

ბინაზე გადაიტანა. შუადღისას, ბოკო შინ რომ დაბრუნდა, ბავშვებმა უთხრეს: შალვა ახალ ბინაზე გადავიდა, ძველ ხანს გიცადა, მაგრამ ვერ დაგელოდა და წავიდაო.

ბოკო მიხვდა, შალვას გადასვლა კარგს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— წასულა და წავიდეს, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! თვალით აღარ დამენახოს ეგ მატყუარა, ეგა! — და ყოველთვის, როცა კი შალვას საქციელი გაახსენდებოდა, ცეცხლი შემოენთებოდა.

გადიოდა დღეები. ბოკო და შალვა ერთმანეთს არ შეხვედრიან. ბოკო მზად იყო, სადაც არ უნდა შეხვედროდა შალვას, პირი მოეხია, გაელანძღა და შეერცხვინა იგი ამხანაგების თანდასწრებით.

ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა ათი დღე. ერთხელ შუადღისას (კვირა დღე იყო), ბოკო მსუყედ დანაყრდა, ღვინოც დააყოლა და დასასვენებლად მიწვა. მაგრამ ბუზებმა, გეგონება განგებო, ბზუილი ატეხეს, თითქოს მძორი ყოფილიყოს, ზედ ასხდებოდნენ და დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ.

თავმობეზრებულმა გაზეთი აიღო და ბუზებს მოუქნია. ბზუილით გაიფანტნენ. ბოკოს უნდოდა გაზეთი დაედო, მაგრამ შემთხვევით შენიშნა ფელეტონი, რომელსაც სათაურად ეწერა: „სხვისთვის დაგებულ მახეში თვითონ გაება“.

— ვინ უბედური გაება მახეში? — თქვა ბოკომ, გაიღიმა და კითხვა დაიწყო. გასაკვირი ამბავიაო, დააჭყიტა თვალები და სიცილი აუტყდა.

— ლოლა, ყური დამიგდე, ძალიან საინტერესო რაღაც მინდა წაგიკითხო, — თქვა სიცილით და წამოჯდა.

ლოლამ იფიქრა, რამე საინტერესო ამბავი წერიაო და ქმარს ბაჯბაჯით მიუახლოვდა.

ბოკოს მუცელზე ხელები წაევლო და სიცილით იჭაჭებოდა.

— რა გაცინებს? წაიკითხე ხმამაღლა, მეც გავიცინო.

ბოკომ ძლივს შეიკავა სიცილი და კითხვა დაიწყო: „იმის ნაცვლად, რომ ქერის ორმოში ჩავარდნილიყო, კრაზანების ბუდეში ტუცა ხელი ბოკო მურასკუამ“.

— ვაი, შე უბედურო! ხომ არ შეშლილხარ? თავს დასცინი, თუ როგორაა? — წამოიყვირა განცვიფრებულმა ლოლამ.

ბოკოს უეცრად, თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირაო, ხელები უღონოდ ჩამოუცვივდა და გაზეთი ძირს დაუვარდა.

ამ დროს შალვაც მოსულიყო. დარჩენილი ბარგი უკვე შეეკრა და ის-ის იყო წასასვლელად ემზადებოდა, რომ კარებზე დააკაკუნეს და ვიღაცამ იკითხა:

„შეიძლება შემოვიდე?“

ოთახში ფოსტალიონი შემოვიდა.

— აქ ცხოვრობს ბოკო მურასკუა?

— დიახ. აქ ცხოვრობს!

— შინ არის?

— არ ვიცი. თუ წერილია დატოვეთ, შემდეგ გადავცემ.

— არა, წერილი კი არა, უწყება გახლავთ.

— რაო, უწყებაო! საიდან? — შალვამ ბარგი ძირს დაალაგა და წერილების დამტარებელს მიუახლოვდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— პროკურატურიდან...

— მართლა?

— ნახე, თუ არ გჯერა! — მან შალვას უწყება გადასცა. შალვამ უწყება წაიკითხა და ჩაილაპარაკა: „ბოკოს პროკურატურაში იბარებენ“.

— თუ შეიძლება, მე გადავცემ, — შალვას ეტყობოდა, რომ ეს ამბავი ესიამოვნა, სახე გაუბრწყინდა. პასუხს არც კი დაუცადა, სწრაფად გატრიალდა და უწყებით ხელში ოთახიდან გავიდა. აივანი ჩქარი ნაბიჯით გაიარა, ისე ჩქარობდა, თითქოს კარგი ცნობისთვის საჩუქარს მოელოდა. კარი შეაღო და ოთახში შევიდა.

ქალი გაოცებული შესცქეროდა.

— საღამო მშვიდობისა, ბოკო! — რიხიანად შესძახა შალვამ.

ბოკო, შალვას ხმა რომ გაიგონა, თითქოს სადგისი უჩხვლიტესო, ადგილიდან წამოხტა.

— ბოკო, პროკურატურიდან უწყებაა შენს სახელზე!— უთხრა შალვამ და ისე მიაწოდა უწყება, თითქოს ჯილდო გადასცაო.

ბოკომ შეშინებული თაგვივით დახედა უწყებას და ტუჩები აუკანკალდა.

— რა მოხდა, ბოკო, ასე რამ შეგაშინა? — ღიმილით ჰკითხა შალვამ და ძირს დავარდნილი გაზეთი მაგიდაზე დადო. ბოკო გაქვავებული, უსიტყვოდ იდგა.

„რამდენი რამ ჩამიდენია, ნეტავ ვიცოდე, რისთვის ჩავვარდი? თავი რითი ვიმართლო? — ფიქრობდა ბოკო... რით ააშენე სახლი, რა სახსრებითო, რომ მკითხონ, რა ვუპასუხო? ამოდენა ოჯახს ვინახავ, ჩემს მეტი კი არავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუშაობს. ჯერ მარტო სკოლაში რომ ვმუშაობდი, რამდენი მასალა მივითვისე. კარგად ვცხოვრობდი. ახლა კიოსკში მუშაობა? დღეში სულ ცოტა, ოც-ოცდახუთ მანეთს ვაკეთებდი.

რამდენი მყიდველი მედავებოდა: „ამხანაგო, არღვევ საბჭოთა კანონებს: ჭიქას არ ავსებ, ხურდას არ აბრუნებ, ვიტყვით ამას იქ, სადაც ჯერ არს“.

ახლა როცა ეს ყველაფერი გაახსენდა, ბოკოს ტანში გააჟრჟოლა. ახლახან რევიზია იყო, დაანგარიშებისას ზედმეტი საქონელი აღმოაჩნდა. უცებ თავში გაუელვა: „იქნებ თვითონ შალვამ დამასმინა?! მაგრამ რად უნდა დავესმინე, როცა გაზეთში გამომჭიმა. ახლა ვინ მიშველის? ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, შარშანდელი პროკურორი რომ იჯდეს. ის გამომიყვანდა ამ მდგომარეობიდან, მომჩივნებს დასჯიდა, განა ერთხელ და ორჯერ დამხმარებია!

მაგრამ სადაა, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, რა მალე მოხსნეს. ახალი პროკურორი კი, არ ვიცი, სად გაიზარდა, პურ-მარილს დაინახავს თუ არა, თავი ასტკივდება ხოლმე“.

— დავიღუპე, აღარაფერი მიშველის... — წაილუღლუღა თავბრუდახვეულმა ბოკომ, მუხლები მოეკვეთა და მოსხლეტით დაეცა დივანზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ექიმო, მითხარით, გადარჩება?
თარგმ. ნ. კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს ა 5
უწყება
თარგმ. თ. ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა . 42

894.611. ᲨᲐ-3
ა 999

7—3—3

Аджинджал Шалодиа Мадзарович
Скажите, он будет жить?
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси, 1968

*

რედაქტორი მ. მთვრალაშვილი
მხატვრები: ო. ჯიშკარიანი, დ. დუნდუა
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. ენდელაძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 1,875
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,3
უე 00268 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 961
ფასი 12 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის, 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის, 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა